პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაჭრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში ხელნაწერის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230,000 მ. კოლექტიური 200,000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— საბჭოთა მეთი ურალიზე მიხსენებით [illegible] წარმომადგენელი ფრუნზე
— ლოზანის კონფერენციაზე განზრახულია პატრიარქის საკითხის განხილვა ხ მი დღით გადადება
— კონტრიბუციის საკითხში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.
— ოსმალების კატეგორიული მოთხოვნილება მოსულის რაიონის დაბრუნების შესახებ ისევ ართულებს მდგომარეობას.
— იტალიაში ფაშისტებმა დაარბიეს და დაწვეს ნიტის მომხრეთა სახლები

№ 300 პარასკევი, 29 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5.000 მან. № 300

მოსპობილია თუ არა ფეოდალური მიწადმფლობელობის ნაშთები საბჭოთა საქართველოში?

ზოგს ეუცხოება ასეთი კითხვა. როგორ? საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც ორი წელიწადია მუშების და გლეხების ხელისუფლებაა, ნუ თუ ფეოდალიზმის ნაშთებს არსებობა შეუძლებელია? მაგრამ ჩვენი სოფლის სინამდვილე კანონიერათ და დროულათ ხდის ასეთი კითხვის დასმას.

ამას წინეთ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია ადგილობრივ მუშაკთა თათბირი იმის გამოსარკვევად თუ როგორ ტარდება სოფლად მიწის რეფორმა, რომელ საფეხურზე შემდგარა და რა ღონისძიებანი დასჭირდება მის საბოლოოდ დამთავრებას. გამოირკვა: საბჭოთა მთავრობის კანონმდებლობა მიწის შესახებ სავსებით ხელსაყრელია მშრომელ გლეხობისათვის, იმავე დროს ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობის ადგილობრივ განყოფილებას, მაგრამ კანონების ცხოვრებაში გატარების საქმეში [illegible] ვერ გამოიჩინა [illegible] ცუდი [illegible] შესაფერისი. [illegible] თავდ თანდათანობითი გზა [illegible] ჩვენ პირობებში, მაგრამ ამ გზაზე ბლომათ [illegible] ისეთი [illegible], რომლების [illegible] რაიმე [illegible].

მიწის საკითხის რადიკალური, რევოლუციური, გლეხთა თვითმოქმედების და ინიციატივის საშუალებით გადაჭრა ყველგან და ყოველთვის გამოიხატება იმაში, რომ პირველათ მშრომელი, უღარიბესი გლეხობა ეპატრონება მიწას, მტკიცეთ დაეუფლება მას, და მხოლოდ ამ დღეში დაიწყება მიწათმფლობელობის ახალი ურთიერთობათა დაკანონება, იურიდიულ თუ სამართლებრივ ნორმებში ჩამოსხმა, ახალი კანონმდებლობით კურთხევა. ეს გზა პირდაპირი და მოკლეა, თუმცა ხშირად მტკივნეული, როგორც ყოველი რევოლუციური გარდატეხა ძველ ურთიერთობათა.

ჩვენი ობიექტიური პირობები არ მოითხოვდა ასეთი გზის არჩევას და ამიტომაც ევოლიუციის გზა ავირჩიეთ. ცუდი და დაუშვებელი არაფერი იყო ასეთ არჩევაში. [illegible] ამ გზაზე შემდგარი.

კანონიერების გზა ყოველთვის უფრო გაჭიანურებული გამოდგა ძველი ურთიერთობათა მომხრეთათვის. [illegible] სოფლად [illegible], იმდენად სწრაფად [illegible] მიწის რეფორმა. და გასაკვირი არ არის ამის შემდეგ, რომ დღეს, როგორც გამოირკვა თათბირზე, აქა-იქ ადგილი ჰქონებია სოფლად მიწათმფლობელების ყიდვა-გაყიდვას, მიწების სალალოთ გაცემას, დიდი მამულების ძველ მეპატრონეთა მფლობელობაში დარჩენას—როგორც „კულტურული“ მამულების (თითქოს გლეხთა ამხანაგობა ვერ მოუვლის და ვერ გაუძღვება კულტურულ ფეოდალების ვენახს და ხილის ბაღებს?).

კანონის ჭიპ-უტანებში თურმე ბლომათ ძვრებიან „ჭკვიანების“ და „ამჟამად მოსამსახურეები.“ საბჭოთა [illegible] ძველი მემამულეები და ნარჩენებენ მთელ ხორმას თუ არა, ხორმის ნახევარს მაინც ყოველ შემთხვევაში.

ამასთანავე ცენტრიდან ადგილი ჰქონებია ისეთი „განმარტებების“ მიწოდებას ადგილებისთვის, რომ ცნობილი „სენატის განმარტებები“ ჯობ გოხდება. [illegible], როგორც ნიმუში, ერთი ცირკულიარი, რომლის მიხედვით [illegible] ძველი სასამართლოების [illegible], სანამ ცენტრიდან [illegible] კომისიები ადგილობრივ არ გაარჩევენ საქმეს და [illegible] დადგენილებას არ გამოიტანენ.

ცნობილი ნიკოლოზ მეორის და [illegible] „უდიების“ [illegible] მიწის [illegible] საბჭოთა რესპუბლიკაში! რატომ?

ადგილობრივი მუშაკები თითქმის ერთხმად იმეორებდნენ: [illegible] შტატის თანხლებით, მაგრამ [illegible] (!) [illegible].

ეს დაწვებელია, ეს ყოვლად [illegible]. ბოლო უნდა მოეღოთ მას. რა გზით და საშუალებით?

მიწის რეფორმის პირველი ნაწილი, ე. ი. მიწის ფაქტიური გადაცემა მშრომელ გლეხობაზე ახლავე უნდა დასრულდეს. რაც შეეხება რეფორმის მეორე ნაწილს, ე. ი. მიწათსარგებლობის იურიდიულათ ჩამოყალიბებას, ამას არსებითი [illegible] ნელობა არა აქვს და შემდეგისათვის გადაიდება მას დამთავრება.

ვინ უკეთ გაატარებს რეფორმის რამოდენიმეთ [illegible] ბოლოს? რასაკვირველია თვით [illegible] ერისა მშრომელი ხალხი: სათანადო საქმეთ, წესიერი და სამართლიანი ხალხი მიწის საკითხის გადაჭრაზე უკეთ ვერავინ გადაჭრის.

გლეხთა კომიტეტები და მიწის კომისიები—ადგილობრივი ან გადაწყვეტილი—აი ვინ უნდა ჰქონდეს სოფლის მიწის რეფორმას ადგილობრივ, აი ვინ უნდა დაამთავროს მიწის რეფორმა [illegible] რეფორმა მიახლოვებულ გაზაფხულამდის.

თბილი, მაზრის და ცენტრის ხელისუფლებას მხოლოდ დახმარება, საჭირო ხელ ძღვანელობას სათანადო კონტროლს უნდა უწევენ თვით მომუშავე გლეხთა მასებს და მათ ორგანოებს. კანონი მხოლოდ განა ხელშეუხებელ კალაპოტში უნდა ჩადგეს გლეხთა მოძრაობას [illegible] მას და არა გზას უღობავს; კანონი მიწის რეფორმისათვის, მშრომელი გლეხობისათვის და არა უკუღმა.

რა მეთოდიც გინდ იყოს, [illegible] ყოველივე ეს! მაგრამ ნამდვილი ჩვენი ხალხია, რომ კანონი [illegible] უნდა გამოიხატოს თავით ახლა კარგათ, რათა გაზაფხულამდის მთელი მიწა ხელში [illegible] რესპუბლიკის მთელ ვრცელზე მშრომელ და კანონიერ პატრონის ხელში აღმოჩნდეს.

მამია ორახელაშვილი.

სამოქალაქო გადასახადს იხდის ყველა შრომის უნარიანი მცხოვრები.

ბრძოლა მექრთამეობასთან

ერთი სენი, რომელიც ღრღნის ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხელს უშლის რესპუბლიკის მეურნეობის აღორძინებას და საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს,—არის უეჭველად მექრთამეობა.

მექრთამეობა ძველი მემკვიდრეობაა, ის ფართოთ იყო გავრცელებული თვითმპყრობელობის დროს, მას ასაზრდოებდა ცარიზმის უღირსი ბიუროკრატიული რეჟიმი. გრანდიოზული გამოცდილება მან მიიღო იმპერიალისტური ომის დროს, როცა სახელმწიფო, სახალხო ქონება იყიდებოდა, ასე ვთქვათ ნაჭრობით და ბითუმათ.

დღესაც ამ სენს ფართო ხასიათი აქვს მიღებული. ის დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან რომელმაც ბევრს „ძველ ძველი ჩვეულ“ და იოლი გამდიდრების წყურვილი აღუძრა. მეორე მხრივ, ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით განადგურებული ეკონომიკა ჯერ კიდევ არ ჩამდგარა ნორმალურ კალაპოტში, კერძოდ რკინის გზების ტრანსპორტის საქმე კიდევ არ არის ისე მოწყობილი, რომ მოსპობილიყო ბოროტმოქმედება.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა სამსახურში დღესაც არიან, ძველი დროიდან შემორჩენილი და მომოწყვეტილი ისეთი ელემენტები, რომელთაც მშრომელთა დიქტატურის განმტკიცება და საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო აყვავება კი არ ენ ტერესებთ, არამედ თავის ჯიბის გასქელება, და ამისათვის ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას.

ასეა თუ ისე, მექრთამეობა და მასთან ბრძოლა დღეს თავსამტვრევ საკითხად არის გადაქცეული. მაზე მოსთქვამ ენ მოქალაქენი, მაზე ხმა მაღლა მეტყველებს საბჭოთა პრესა, მის წინ აღმდეგ ენერგიულ ზომებს ღებს სათანადო სახელმწიფოებრივი აპარატი.

რუსეთში ამ ხერხი ფართე კომპანიაა გაჩაღებული; დაარსებულია მექრთამეობასთან მებრძოლი განსაკუთრებული კომისიები, მოქმედებს საგანგებო სასამართლო მექრთამეობის გასარჩევად და სხვ

ეჭვი არ არი, მექრთამეობა ფართეთ მოდებულია ჩვენშიც, საქართველოშიც ცხოვრების მრავალი დარგია მით დაავადებული. ყველაზე უფრო კი ეს ეხება რკინის გზას და საბაჟოს რკინის გზა მთავარი არტერია სამეურნეო ცხოვრების, მისი საშუალებით ხდება საქონლის გადა-

ნაწილდება არსებულ სათანადო წესით; ხლიბოდა ტვირთის გადაგზავნა და ბილეთების გაყიდვა რიგ გარეშე; საბჭოთა საშუალებით გზავნიდნენ კერძო საქონელს, როგორც სახელმწიფო ორგანოთა „ქვიტ“, ასე ვით შემ-ჰქონდეთ საქონელი უცხოეთიდან; იმავე რიგ ოდა სავა რეთ ვაგონში მოთავსებული წესი. ხდებოდა მრავალი სხვა ბოროტმოქმედება.

საგანგებო კომისიამ ყველაფერი ეს აღმოაჩინა, დაიწყებული დამაშავენი პასუხისგებაში მისცა. ჩვენ გამოძიების და რეზრეში მოქმედებს. შეიძლება ნაკლები მასშტაბით, სხვაგანაც აქვს ადგილი. მუშაობა მათ აღმოსაჩენად და შემდეგში ასეთების განზრახვების აღსაკვეთად წამოწყება. საჭიროა მექრთამეობასთან ბრძოლა უფრო მეტი ენერგიით გაგრძელდეს და უფრო ფართოდ დაწყება აუცილებლად დამნაშავე ნის დაუზოგველად და ჯასაბჭოთა ხელი უფლებამ მტკიცე ბოლო უნდა მოეღოს ამ მოვლენებს, გამცემელი მაზითი ამოაწყვეტოს ხალხის სხეულიდან ის მატლები, რომელთაც ეკონომიური ეწოდება.

X.

ტფილისის ელექტროფიკაცია - დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

როგორ ვებრძოლოთ იმპერიალისტური ომების საფრთხეს

ქვემოდ ჩვენ მოგვყავს რუსეთის პროფკავშირების და კოოპერაციის დელეგაციის წინადადება წარდგენილი ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო ყრილობაზე. როგორც დეპეშებიდან ჩანს, აქ „სამშვიდობო კონგრესმა“ დაამტკიცა რომ სოციალ რეფორმისტებს არ სურთ ებრძოლონ იმპერიალისტური ომის საფრთხეს გაბედ და კონკრეტიულ ზომებით, სოციალ დემოკრატებმა არ მიიღეს ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა, რომელსაც დაბეჯითებით გვაკრძალებს მოსკოვის კონგრესის „დაარსების“ დროს, რომელსაც მოითხოვდა რუსეთის დელეგაცია. ჰააგის „ამშვიდობო კონგრესი“ გაჰყვა შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლების გზას და დაკმაყოფილდა მხოლოდ რეზოლიუციებით და ფრაზეოლოგიური სიტყვებით. არ ვქმნით რა ამბავს შესახებ ამ კონგრესის შესახებ დელეგაციის დაბრუნებამდე.

ჩვენ მოგვყავს ჩვენი დელეგაციის წინადადების ტექსტი, ვ ნადის ის ყოველზე უფრო მ ახასიათებს ამ „სამშვიდობო კონგრესს“. „საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესი, გამოდის რა იმ დებულებიდან, რომ ომების თავიდან აცილება შეუძლებელია მხოლოდ კაპიტალისტური სისტემის მოსპობით, რომელიც იწვევს ამ ომებს და აღიარებს, რომ იმპერიალისტურ ომებთან ყოველგვარი ბრძოლის წინაპირობას წარმოადგენს ერთიანი, წმინდა—კლასობრივი მუშათა ფრონტის შექმნა, ადგენს:

1) დაარსდეს მოქმედების საერთაშორისო კომიტეტები ამსტერდამის ინტერნაციონალის, 2 ინტერნაციონალის, ვენის ინტერნაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის, კოოპერატივების საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით ომის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

2) ანალოგიური მოქმედების კომიტეტები არსდება თვითეულ სახელმწიფოში ზემოდ ჩამოთვლილ ინტერნაციონალების მოსხრე ორგანიზაციების შემადგენლობით.

ამ მოქმედების კომიტეტებში უნდა შედიოდეს ყველა მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც დღემდე არ შედიან ინტერნაციონალში არ შედიან თუ ამ ორგანიზაციებს ნამდვილ კლასობრივ ბრძოლა ომის წინააღმდეგ.

4) ეს მოქმედების კომიტეტები მიზნად ისახავენ აგრეთვე გადასდგან ყველა ზომები მასიური პროფესიონალური ორგანიზაციების გათიშვის ლიკვიდაციისათვის, ფედერაციული პოლიტიკის თავდაპირველი დაცვის გზით პროფკავშირებს ახალი გათიშვის თავიდან აცილების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქმედების ერთიანობის უზრუნველყოფისათვის.

5) ამ მოქმედების კომიტეტებს დაევალოთ მოწყობა ფართო ორგანიზაციისა ყველა ხელმისაწვდომი სისტემატიური ბრძოლა ყოველნაირ სამხედრო და ცვის თეორიის და პრაქტიკის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უწყობს მომავალ მუშათა ახალ ომში ჩათრევას იმპერიალისტურ ინტერესებისთვის.

6) რათა პროლეტარიატის მშვიდობის ნომისათვის ბრძოლამ გამოიწვიოს ნამდვილი შედეგები, აუცილებელია მოეწყოს შრომისა და შრომით მომუშავე მშრომელთა, კერძოდ მეტ-

ოქმით საკოორდინაციო და სოციალისტური სარგებლობის გაცემის ფორმების გამოყენება მათი მოქმედების ერთიანობის უზრუნველყოფისთვის.

7) დღესვე რომ ის მიზნით რომ ყველა ფრთა ცალკე ფრონტის ... მობილიზაციის და ყველაზე საჭირო ორგანიზაცია, რომელიც იმ ომების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმალობის წინააღმდეგ, პირობადი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციების დამუშავება.

8) ომების და მხრობლით ფრთა მასების საზოგადოებრივ ლიდერი ხელმძღვანელი ბრძოლის ორგანიზაცია ... პროლეტარიატის ... ... ყველა სახელმწიფოს ... მასების ... ...

9) საჭიროა გადამწყვეტი მასიური ბრძოლა წარმოება ყოველი დამხმარების სხვა ამაღლებული ... იმპერიალისტური ... ...

10) საჭიროა გამოიცეს კრებები ამ ... ...

11) იმპერიალიზმის ... ...

12) უნდა წარმოებულ იქნეს ბრძოლა ... ...

13) ბრძოლა წარმოებულ უნდა იქნეს ... ... მუშათა მასების შეიარაღებისთვის და ყველა ჯურის მუშათა მთავრობის შექმნისათვის, რომლის მიზანი იქნება ზეთხვაურებულ მოთხოვნილებათა გატარება გაბატონებულ კლასების სურვილის წინააღმდეგ.

14) უნდა მოეწყოს 8—15 იანვრამდე ომის საწინააღმდეგო ბრძოლის საერთაშორისო კვირეული, 1ი იანვარს კი ერთი დღის საპროტესტო გაფიცვა ომის წინააღმდეგ. ვერსალის ხელშეკრულების, იმპერიალიზმის და კაპიტალის დიქტატურის წინააღმდეგ და შრომის უფლების მოსაპოებლად.

დელეგაციის ბიურო: ა. ლაზოვსკი, ა. რადეკი და მეშჩერიაკოვი.

ჰააგა 12 დეკ. 1922 წ

ნადიმ-დეპეშები

ლოზანის კონფერენცია

მოსულის საკითხი.

პარიზი 26 დეკემბ. ლონდონიდან მეტად უნუგეშო ცნობები მოდის. გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, რომ კერზონის ხანგრძლივი თათბირი ქონდა ისმეტ ფაშასთან ოსმალების შეურიგებელი პოზიციის გამო, რომელსაც შეუძლია მოყვეს მეტად არა სასიამოვნო შედეგები. მდგომარეობა ისევ გართულდა, ოსმალების მოთხოვნილების გამო, მოსულის რაიონის დაბრუნების შესახებ ამ მოთხოვნილებაზე ლორდ კერზონმა უპასუხა ნოტით, რომელშიაც ის ადასტურებს ძველ მემორანდუმს და რომელშიაც ნათქვამია, რომ მოსულის რაიონი არ შეიძლება დაბრუნებულ იქნას ოსმალეთისათვის. მიუხედავად ამისა, კერზონი წინადადებას აძლევს მიენდოს ეს პრობლემა საკითხი ირაკის ჩრდილოეთის საზღვრებზე საერთაშორისო საზოგადოების შესახებ.

შედეგს ვერ მიაღწიეს.

პარიზი 28 დეკემბ. დღეს გაიმართა იმ ქვე-კომისიის სხდომა, რომელიც იხილავდა ფინანსიურ საკითხებს კაპიტულიაციის შესახებ. მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა იმის გამო, რომ ოსმალეებმა წარმოადგინეს მოთხოვნილება უცხოელების დაბეგვრის შესახებ.

ოსმალეთის დელეგაციის პროტესტი.

ნაუენი. 28 დეკემბ. თათბირი, რომელიც გამართული იყო ხაზობაროდ დღესასწაულების დროს, უშედეგოთ დამთავრდა, გარდა მცირეოდენ დათმობათა. რომელზედაც მიკავშირეები წავიდნენ კონტროლის საკითხში. ოსმალოებმა გამოთქვეს პროტესტი ხომხეთის და ბულგარეთის წარმომადგენლების მოსმენის წინააღმდეგ და აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში სჯობს რომ აგრეთვე მოსმენილ იქნენ ეგვიპტის, ირაკის და ხირიის წარმომადგენლები.

კონფერენციის გადადება

პარიზი 28 დეკ. ლოზანიდან მიღებულ ცნობების თანახმად გამორკვეულ იქნა საჭიროება კონფერენციის 2 3 დღით გადადებისა, პატრიარქატის საკითხის განახლებლად გამოირკვა აგრეთვე, რომ საკითხებს რომელთა განხილვა მიენდო მეორე კომისიას, შეგვიანდა, რის გამო დღეს მოწვეული იქნება კრება იმ საკითხების საბოლოვო პროექტის შესამუშავებლად, რომელიც ხსენებულმა კომისიამ უნდა განიხილოს.

პრემიერთა თათბირის გამო

რომი. 28 დეკემბერი. მუსოლინიმ განაცხადა, რომ პრემიერთა თათბირის გადადება იანვრამდე, აუცილებელია, რათა ჩვეულებრივი დიპლომატიური მოლაპარაკების გზით მომზადებული იქნეს ყველა შეთანხმება მოკავშირეებს შორის. თათბირი უნდა იქნეს მოწვეული შემთხვევაში, უკეთუ დარწმუნებული ვიქნებით, რომ საკითხებიერთხელ და საბოლოოთ იქნებიან გადაჭრილი. მუსოლინი ფიქრობს, რომ თუ პარიზის თათბირი ისეთივე უშედეგოთ უნდა დამთავრდეს, როგორც წინა თათბირები ლონდონში, მაშინ პარიზში გამგზავრება უადგილო იქნება. პრემიერის პარიზის თათბირზე მონაწილეობა პარადით და წრეების აუცილებლობას.

გერმანიის ამბები

პურის ხიხი გერმანიაში.

მოსკოვი. 28 დეკემბ. დანციგში გამოცხადებულია ხელის მოწერა პურის სესხზე.

უმუშევრები ბერლინში.

მოსკოვი. 28 დეკემბ. უმუშევართა რიცხვმა ბერლინში 3 რვალ დეკემბრისთვის მიაღწია 50,000 კაცამდე, რომელთაგანაც 33,000 მამაკაცია.

გერმანიის რკინის გზელთა შორის.

მოსკოვი. 28 დეკემბ. ლეიპციგში დღეს პროვინციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რკინის გზების მოხელეებს არა აქვთ უფლება ისარგებლონ გაფიცვის თავისუფლებით.

კონტრიბუციის საკითხი და მოკავშირეთა ურთიერთობა

გერმანიის ბრალი არ არის.

მანჩესტერი. 28 დეკ. საკონტრიბუციო კომისიის დადგენილების გამო იმის შესახებ, რომ გერმანიამ არ შეასრულა ვალდებულება სატყეო მასალის მიწოდების შესახებ, რაც უნდა ჩაითვალოს ვერსალის ხელშეკრულების დარღვევათ. გერმანიის პრესა ამტკიცებს, რომ სატყეო მასალის მიუწოდებლობაში გერმანია არ არის დამნაშავე, რადგან ანტანტამ თავის დროზე არ მოითხოვა საჭირო მასალის რაოდენობა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დაკლებული სატყეო მასალა შეიძლება მიწოდებულ იქნეს, როდესაც ეს საჭირო შეიქნება.

ს ჭიროა დახმარება.

მანჩესტერი. 28 დეკ. ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ სენატორმა მაკკორმიკმა სენატში განაცხადა, რომ გერმანიას აუცილებლად უნდა გაეწიოს დახმარება, რადგანაც მას საშინელი შიმშილი მოელის. დახმარება უნდა გამოიხატოს მორატორიუმის მიცემაში, დანგრეულ ოლქების აღსადგენ საკონტრიბუციო დავალების შემცირებაში და დაკავებულ ოლქებიდან შეიარაღებული ჯარების დაუყოვნებლივ ევაკუაციაში.

მდგომარეობა იტალიაში

მოსკოვი. 28 დეკემბ. იტალიის ფინანსთა მინისტრის მოხსენებაში აღნიშნულია იტალიის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა. 1923 წლის ბიუჯეტი გულისხმობს 5 მილიარდ ლირის დეფიციტს.

მ ნჩესტერი 28 დეკემბ. იტალიის საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იტალიის დეფიციტი 1921—22 წლებში უდრის 8 მილიარდ 216 მილიონ ლირას.

ფაშისტები.

რომი. 28 დეკემბ. რომში, ლუგანოში და ვენეციაში ფაშისტებმა თავდასხმა მოახდინეს თავდასხმა იმ სახლებზე, რომლებშიდაც ცხოვრობდენ ნიტტის მომხრეები. სახლები დაწვეს, ქონება გაანადგურეს. ლუგანოში შეტაკების დროს დაიჭრა 5 კაცი.

ახალი ხალიფა.

მოსკოვი. 28 დეკემბ. ირაკის და სირიის სამღვდელოებამ შეაფარეს ეგვიპტის მეფე ფუადი ახალ ხალიფად.

დუკა და პუანკარე.

მოსკოვი. 28 დეკემბ. რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრმა დუკამ ინახულა პუანკარე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დუკა შევიდა პარიზში საფრანგეთის ოფიციალურ წრეებთან ერთგვარი კონტაქტის დასამყარებლად.

საზღვარგარეთ

მოსკოვი 26 დეკემბერი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საგანგებო კონგრესმა ერთხმად უარყო რეფორმისტების წინადადება არჩევნებში დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მონაწილეობის მიღების შესახებ. ახალ ცენტრალურ კომიტეტს მიეცა წინადადება იხელმძღვანელოს კომინტერნის დადგენილებებით.

ამერიკა და ევროპა

ამერიკა არ სცნობს ვერსალის ხელშეკრულებას

პარიზი. 28 დეკემბერი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ამერიკის პრეზიდენტს გარდინგს განზრახვა აქვს შეიტანოს სენატში საერთაშორისო კონფერენციაზე ბორაზის პროექტი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ამერიკა არ სთვლის თავისთვის სავალდებულოთ ვერსალის ხელშეკრულების დადგენილებათა დაცვას და უარყოფს ევროპის ამერიკის ვალების დაკავშირებას კონტრიბუციის საკითხთან. ამერიკა ვფიქრობთ, რომ ამერიკა აღარ ფიქრობს რაიმე სესხი მისცეს ევროპას.

უკრაინა და პოლონეთი

მოსკოვი. 27 დეკემბ. რუსეთ უკრაინის დელეგაციის შერეულ რეპატრიაციონულმა კომისიამ პროტესტი განუცხადა პოლონეთის დელეგაციას, რუსეთის და პოლონეთის ტერიტორიებზე ძალადობის და დაცინვის გამო, რაც აღნიშნულია 29 ჯერ.

საზღვარგარეთის ამბები

საფრანგეთის კომუნისტების შორის

მოსკოვი. 28 დეკემბ. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ახალმა კომიტეტმა დაადგინა გაზეთების გერმანიაში 7 იანვარს, დიდ მასიური გერმანიის კომუნისტებთან ერთად იმ საკითხების განხილველად, რომელიც დაკავშირებულია ხარეპარაციო საკითხების შესახებ, პარიზის კონფერენციის მოსალოდნელ დადგენილებებთან.

სამხრეთ აფრიკაში

მოსკოვი. 28 დეკემბერი. იოგანესბურგში სიკვდილით დასჯის აქ დიდი რაოდენობის კაცი სამხრეთ აფრიკის მეშახტეთა გაფიცვაში მონაწილეობის ბრალდებისათვის.

დიდი ამბების მოლოდინში.

რომი. 28 დეკემბ. როიტერის სააგენტოს ცნობით ვაშინგტონიდან ევროპაში დაბრუნებულმა ამერიკის სენატორმა მაკკორმიკმა განაცხადა, რომ თუ მოკავშირეები ვერ მოაგვარებენ კონტრიბუციის საკითხს, მაშინ ზამთრის ბოლოს უნდა ველოდეთ სერიოზულ ამბებს.

ფინლიანდიის სეიმში

მოსკოვი. 28 დეკემბერი ფინლიანდიის სეიმი წევრად არჩეულ პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის კომუნისტ ვილი იაიენს, რომელიც ახლო ხანში დღეებში ექვა განთავისუფლებული ციხიდან, ბურჟუაზიულ დეპუტატების ხმების უმრავლესობით წაერთვა დეპუტატის წოდება.

წითელი რესპუბლიკებში

რუსეთი

პრესის მოღვაწეთა შორის.

მოსკოვი. 27 დეკემბერი. რიბინის გაზეთის თანამშრომლებმა შეაგროვეს 13 000 მანეთი კომუნისტ კორესპონდენტის იოვლევის ოჯახის.

— ვიტებსკში დაარსდა სპირიდონოვის სახელობის მუშა კორესპონდენტთა კურსები.

შრომის დაცვა.

მოსკოვი. 27 დეკემბერი. ასტრახანში 10 წარმოების სასამართლომ ძიუ ბაჯარომა 150 ოქროს მანეთით დააჯარიმა 6 თვით პატიმრობა მუშაობა სოციალური დაზღვევის კონტრიბუციის გადარიცხვის გადაუხდელობის გამო.

— ვლადიმიროვის ტრესტის ფაბრიკის დირექტორს ვორონოვს სასამართლომ მიუსაჯა 2 წლის ციხე და ჯარიმა 1000 მანეთი ოქროთი ბინის გარეშე 150 მუშის დაქირავების გამო.

პეტროგრადის გარნიზონი.

მოსკოვი. 27 დეკემბერი. პეტროგრადის საბჭოს სამხედრო სექციის პლენუმზე გამოირკვა, რომ პეტროგრადის გარნიზონის გამოკვების საქმე ნორმალურად დაყენებული. პირველ იანვრისათვის მთელ გარნიზონს მიეცემა ახალი ტანისამოსი.

პური პეტროგრადისათვის.

მოსკოვი. 27 დეკემბერი. პეტროგრადში პურის შემოზიდვამ იმატა: დეკემბრის განმავლობაში შემოტანილია ხუთჯერ მეტი პური წინა თვეს ნოემბერთან შედარებით. 20 000 ფუთის ნაცვლად ყოველ დღე შემოდის 100 000 ფუთი.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. 26 დეკემბერი. ლუშენსკის თუჯის სადნობ ქარხნის მუშების მეცადინეობით ამუშავებულ იქნა დიდი ღუმელი, რომელიც უმოქმედოთ იყო 5 წლის განმავლობაში. ამის და მიხედვით ქარხნის წარმოებამ იმატა 300 პროც.

მოსკოვი. 27 დეკემბერი. ლენინის სახელობის პირველ სახელმწიფო წისქვილთან მოითავდა ახალი დიდი საღეჭი ვიწისქვილის აგება, რომელიც დღეში მიეცემა 5 000 ფუთ ღერღილს.

— პეტროვის ქარხანის მარტენოვის ქურამ გამოუშვა 7 081 ფუთი ფოლადი, რაც შეადგენს განსაზღვრულ დროში ჩვეულებრივი ნაწარმოების—147 პროც.

— წითელი „პუტილოველმა“ დაამზადა ერთი ორთქლმავალი და შეაკეთა ორი.

საბჭოთა დამოკიდებულება ნორვეგიასთან.

მოსკოვი. 27 დეკემბერი. პეტროგრადში ნორვეგიიდან მოვიდა ორი გემი საქონლით დატვირთული, საქონელი გამოგზავნილია ნანსენის ხელმწიფოებრ კომიტეტის სახელზე.

ორთქლმავალთა მკეთებელი ქარხანა

მოსკოვი. 27 დეკემბერი. ხარკოვის ორთქლმავალთა მკეთებელი ქარხანა ამუშავდა. მომუშავეთა რიცხვი გადიდებულია. ქარხანა ტეხნიკური და სათბობ მასალით უზრუნველყოფილია რამოდენიმე თვით, სხვადასხვა განიცდის უქონლობას კვალიფიკაციური მუშათა ნაკლებობას.

სახელმწიფო ბანკის ბანკნოტები

მოსკოვი. 27 დეკ. კიევში მოთხოვნილება სახელმწიფო ბანკის ბილეთებზე მატულობს

სამღვდელოებაში

მოსკოვი. 27 დეკ. ტომსკის მაზრის მთელ რიგ სოფლებში სამღვდელოება სტოვებს თავის წოდებას და იხდის ანაფორას.

სამღვდელოება ემხრობა დამშეულებს.

სიმფეროპოლი. 28 დეკ. სიმფეროპოლის სამღვდელოების და მრევლთა კრებამ ეპისკოპოს პეტრეს თავმჯდომარეობით გამოიტანა დადგენილება, რათა გადაეცეს „მშვიდობის კვირის“ დამშეულთა კომიტეტს საეკლესიო ნივთების და ზარების ნაწილი.

ოქროს მომგებიანი სესხი

მოსკოვი. 27 დეკემ. ხელის მოწერა ოქროს მომგებიან სესხზე მშვენივრად მიმდინარეობს. ხელის მოწერის პირველ დღეს სახელმწიფო ბანკის ძიერ გაყიდულია 70 ზე მეტი ობლიგაცია, მოსკოვის ქალაქის ბანკის მიერ ნაწილობრივ გაყიდული და თანდართულ დღეში გაყიდულ იქნა 13,856 ობლიგაცია.

შაქრის ქარხანა

მოსკოვი. 27 დეკემ. ტულაში ამუშავებული იქნა შაქრის ქარხანა, რომელიც ომის დროს ამუშავდებოდა 9 000 ფუთს. თვიურად წარმოების ნაყოფიერება ამ ქარხანაში უნდა უდრიდეს ომამდე არსებული ნორმის 80 პროც. ქარხანაში მუშაობს 1,600 კაცი.

შიმშილობა ყირიმში

მოსკოვი. 27 დეკემ ყირიმში შიმშილობას განიცდის 157,000 ბავშვი და 150 000 მოზრდილი. საჭიროა ეს ნაწილში საჭიროა ყოველთვიურად 150 ათასი ფუთი პური.—საჭიროა დახმარება.

ნავთსადენის მუშების შორის

მოსკოვი. 27 დეკემ. ნავთსადენის მძიმე ინდუსტრიის მუშების მდგომარეობა უმჯობესდება. სამუშაო ხელფასმა იმატა 34 პროც. და უახლოვდება ომამდე არსებულ ნორმას.

ბელორუსიის საგარეო ვაჭრობა

მოსკოვი. 27 დეკემბ. მიმდინარე წელში ბელორუსიიდან საზღვარგარეთ გატანილი ნაწარმოებთა ჯამი უდრის 650 ათას მანეთს ოქროთი, წარსულ წელში კი გატანილი იქნა ამ ბელორუსიიდან ნაწარმოები 50,000 მანეთის—ოქროთი.

სამრეწველო ტეხნიკუმი.

მოსკოვი. 27 დეკ. რუსეთში იხსნება პირველი სამრეწველო ტეხნიკუმი სამრეწველო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოსამზადებლად. ტეხნიკუმში მიღებული იქნებიან 100 მუშა, საფაბრიკო-საქარხნო ხანგრძლივი სტაჟით.

პეტროგრადის პოლიტეხნიკუმში.

მოსკოვი. 27 დეკ. პეტროგრადის პოლიტეხნიკუმში იხსნება ინდუსტრიალური მუშა და მოქმედების ახალი ფაკულტეტი, სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის შესასწავლად.

ბუნებისმეტყველთა ყრილობა.

მოსკოვი. 27 დეკ. დასრულდა სრულიად რუსეთის ზოოლოგთა, ანატომთა და ჰისტოლოგთა პირველი ყრილობა. მოსმენილი იქნა 272 მოხსენება გამოირკვა, რომ უკანასკნელ წლებში ბუნებისმეტყველების რუსეთში ვითარდება ჩქარი ტემპით და ხანდახან წინაც უსწრებს დასავლეთ ევროპას. დადგენილ იქნა რათა მოეწყოს რეგულიარულად რუსეთის ზოოლოგთა და ანატომთა საზოგადოება არჩეულია საზოგადოების დროებით თა კომიტეტი.

მოქალაქენო! 26 დეკემბრიდან დაიწყო სამოქალაქო გადასახადის აკრეფა.

ყველა ჭეშმარიტ მოქალაქეს მოვალეობა დაეხმაროს ქალაქის ელექტროფიკაციის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო გადასახადი შემწეობას მისცემს ქალაქ[illegible] ჩაუყაროს საძირკველი ჰიდრო-ელექტრიულ სადგურს

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს საყურადღებოთ

იმ ანგარიშ ვალდებულ პირთა და დაწესებულებათ, რომლებზედაც ითვლება გაუმართლებელი ავანსები და ვალები,

აუცილებლად უნდა გაამართლონ ავანსები სათანადო გასამართლებელი საბუთების წარმოდგენით (თუ ავანსი გაუხმარებელია ფულად უნდა წარმოადგინონ) და ვალები გადაიხადონ მომავალ 1923 წ. 1-ლ იანვრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაეცემა საქართველოს საგანგებო კომისიას სათანადო ზომების მისაღებად.

საქ. დამშ. დამხმარე მთავარი კომიტეტი.

23 დეკემბერი, 1922 წ. ქ. ტფილისი.

მიიღება ხელისმოწერა

გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი. ერთი ეგზემპლიარი თვეში	
		ჩვეულებ.	კოლექტ.
„კომუნისტი“	ქართული	230.000	200 000
„პრავდა გრუზია“ . . .	რუსული	230.000	200 000
„კარმირ ასტხ“	სომხური	230 000	200.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილ იქნება ხელისმომწერთა საპირადო სიები, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორაში (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—2 საათამდე.

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დღის 1-ლ საათამდე.

მუშაობა ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მოსაწყობად უკვე დაიწყო. საჭიროა თანხა. მოქალაქენო, გაგვიწიეთ დახმარება!

გემი „ჩიჩერინი“.

მოსკოვი. 27 დეკ. ოდესაში ზღვაში ჩაუშვეს გემი „ჩიჩერინი“, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს საზღვაო რეისს.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი.

მოსკოვი. 26 დეკ. სტარორუსის მაზრაში გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები დიდ ენერგიას იჩენენ. რამოდენიმე სოფლის კომიტეტებს უკვე მოეპოვებათ საკმაო რაოდენობა სათესლე ფონდისა—200—1000 ფუთამდე.

ახალგაზრდათა კომკავშირში.

მოსკოვი. 26 დეკ. რიაზანში ახალგაზრდათა კომკავშირში ბევრი ახალი წევრები ეწერებიან. ოქტომბერში ორგანიზაციაში შესულა 134 წევრი, ნოემბერში—192 წევრი. წევრები უმთავრესად სოფლელებია.

მასწავლებელთათვის პოლიტიკური ცოდნის კურსები.

მოსკოვი. 26 დეკ. არდადეგებისათვის ცარიცინში ეწყობა პოლიტიკური ცოდნის და ფიზიკურად აღზრდის კურსები ყველა საფეხურის სკოლათა მასწავლებელთათვის.

დეკემბრის აჯანყების 17 წლის თავი.

მოსკოვი. 28 დეკემ. აკვარიუმში 1905 წ. დეკემბრის აჯანყების 17 წლის თავზე გაიმართა საღამო. მოხსენება გააკეთეს ბუხარინმა, იაროსლავსკიმ და სხვებმა.

გაეგზავნა მისალმება ამხ. ლენინს, როგორც მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელს.

ფსიქონევროლოგების ყრილობა.

მოსკოვი. 28 დეკ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი 10 იანვარს იწვევს სრულიად რუსეთის ფსიქონევროლოგების ყრილობას.

კომუნისტური უნივერსიტეტების კონფერენცია.

მოსკოვი. 28 დეკ. გაიხსნა კომუნისტური უნივერსიტეტების სრულიად რუსეთის კონფერენცია. მომხსენებელმა პოკროვსკიმ, ბროიდომ და ფრუმკინმა აღნიშნეს, რომ მსმენელები იჩენენ მაქსიმუმ ენერგიას და რომ კომუნისტური უნივერსიტეტები მოწოდებულნი არიან—ითამაშონ დიდი როლი განათლებული მარქსისტების პედაგოგების და უმაღლეს სკოლების მასწავლებელთა კადრის მომზადების საქმეში.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი. 28 დეკ. 28 დეკემბრისათვის რევტრიბუნალის კოლეგიის მიერ დანიშნულია განსახილველად ყოფ. თავადის უხტომსკის და მის ორი თანამონაწილეთა ბელენკოვის და ვერხოვსკის საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ 1919—1921 წლ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობაში.

სევასტოპოლის ნავთსადგური.

ყირიმის ეკონომიურ თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენება სევასტოპოლის სავაჭრო ნავთსადგურით შემოზიდულ და გაზიდულ ნაწარმოებთა შესახებ. ომამდე ნავთსადგურის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი ეკავა სამხედრო ფლოტს და მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ იქნა განთავისუფლებული და გამოყენებული სავაჭრო ოპერაციების მიზნით. ომამდე ნავთსადგურში შემოზიდულ-გაზიდულ ნაწარმოებთა რაოდენობა წელიწადში უდრიდა 30 მილიონ ფუთს, ახლა კი რკინის გზის მეოხებით 3 (?) მილიონ ფუთს. მარტიდან ნოემბრამდე ნავთსადგურში შეკეთებული იქნა 19 გემი. მაისში ნავთსადგურში შემოსულა 87 რუსეთის და 20 საზღვარ გარეთის გემი, ივნისში—96 და 11, ივლისში—64-14, აგვისტოში—59—139, სექტემბერში—66—17 და ოქტომბერში—53—9. საზღვარ გარეთიდან შემოზიდული იქნა აგვისტოში 19,667 ფუთი, სექტემბერში—24,324 და ოქტომბერში—56,894 ფუთი.

აივაზოვსკის გალერეია.

სიმფეროპოლი. 20 დეკ. ფეოდოსიაში მცხოვრებ მხატვართა ჯგუფის მეცადინეობით აივაზოვსკის სურათების გალერეია ხელახლა გაიხსნა, ამავე დროს კატალოგის მიხედვით გალერეის სურათების რიცხვი ამ ჟამად მეტია ვინემ იყო 1916 წელს. გალერეის ოფიციალური გახსნა მოხდა 14 დეკემბერს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების, დაწესებულებების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა თანადასწრებით. გალერეიაში შესასვლელი ფასი მინიმალურია.

სიმფეროპოლში.

სიმფეროპოლი. 30 დეკ. ყირიმის კომუნალური მეურნეობის სამმართველო შეუდგა სიმფეროპოლში მცენარეების მოშენებას. დაიწყო მუშაობა სახალხო ბაღების მოსაწყობად. ხარჯთ-აღრიცხვა გამოანგარიშებულია 9 მილ. მანეთი.

მოქალაქენო! ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ელის თქვენგან მატერიალურ და მორალურ დახმარებას ქალაქის ელექტრო-ფიკაციის საქმეში.

საბჭოთა მეათე ყრილობა

ამხ. ფრუნზეს სიტყვა.

მოსკოვი. 28 დეკ. (დასაწყისი არ არის მიღებული)... უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ფრუნზე, რომელიც ხაზს უსვამს, რომ უკრაინის მუშები და გლეხები ყოველთვის მომხრენი იყვნენ საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო და ძმური კავშირისა.

ისტორიულ გარემოებათა გამო ბრესტის ზავის შემდეგ, უკრაინა ჩამოშორდა რუსეთს, მაგრამ უკრაინის მუშების და გლეხების ლტოლვა საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებისაკენ მუდამ ძლიერი იყო უკრაინის რესპუბლიკის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანებას.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის და ბელორუსიის წარმომადგენლების სიტყვა.

მუსა ბეკოვი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და აზერბეიჯანის სახელით, ცხაკაია საქართველოს, ლუკაშინი სომხეთის და ჩერვიაკოვი ბელორუსიის სახელით მხარს უჭერენ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროექტს.

უცხოეთის ცხოვრება

მუსოლინის პროგრამა პროფკავშირებში.

ფაშისტების წინამძღოლმა და მინისტრ-პრეზიდენტმა მუსოლინმა ამას წინად გამოაქვეყნა თავისი პროგრამა პროფკავშირების შესახებ, რომელიც შეიცავს მეტად დამახასიათებელ მუხლებს, ეს მუხლები საუკეთესოთ ააშკარავებს ამ „პროგრამის“ ნამდვილ აზრს.

1. მუშაობის შეწყვეტა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისათვის, არ ვითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული.
2. ბრძოლა წარმოებათა წინააღმდეგ დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.
3. მუშების ინტერესებთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წარმოების, ტეხნიკის და სახელმწიფოს ინტერესები.
4. ხელფასის შემცირება დასაშვებია, თუ ამას წარმოების ინტერესები მოითხოვს.
5. ფაშისტური მოძრაობა არ უწევს დახმარებას რომელიმე განსაკუთრებულ სამეურნეო სისტემას ან რომელიმე განსაკუთრებულ სოციალურ წყობილებას.

მუსოლინის პროგრამის მესამე მუხლი სიცხადით ააშკარავებს მუსოლინის „სიმპატიებს“ მუშებისადმი, ეს სიმპატია იწყება იმით, რომ დეკრეტით უქმდება იტალიის მიერ მედგარი და ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული 8 საათის სამუშაო დღე და რადგან „მუშების ინტერესებთან ერთად დაცულ უნდა იქნეს წარმოების (ე. ი. ფაბრიკანტების), ტეხნიკის და სახელმწიფოს ინტერესები“, იტალიის მუშებმა ამ ჟამად უნდა იმუშაონ 10—12—14 საათი დღე და ღამეში.

ამ პროფკავშირთა პროგრამიდან ნათლად გამოსჭვივის ფაშისტების ტაქტიკა, რომელთა მოძრაობას ხელს უწყობდენ და აღვივებდენ მსხვილი მწარმოებლები.

მუშათა მასების მდგომარეობა იტალიაში დღითი-დღე უარესდება. პირველ მოთხოვნილების საგნების ფასები თანდათან მატულობს. ხოლო ხელფასი,—როგორც დაწესებულია საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციების მიერ,—გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იყო ომამდე.

რა თქმა უნდა, კარგა დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება გააყრუონ გალატაკებული მუშები სხვა და სხვა ნაციონალისტური ლოზუნგებით, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ხანგრძლივი იქნება ის პროფესიონალური მოძრაობა, რომელსაც მხარს უჭერენ მისი მესვეურები.

უმუშევრობა ინგლისში.

ინგლისის პარლამენტში ხელ-ახლა მოხდა შეტაკება ბონარ-ლოუს მთავრობის და მუშათა ოპოზიციის შორის უმუშევართა დახმარების საკითხის შესახებ. მუშათა ოპოზიციამ, როგორც გამოირკვა, ჯერ კიდევ მეფის სიტყვის შესახებ კამათის დროს, **გაიხადა უმუშევართა დახმარების საკითხი კონსერვატიულ მთავრობაზე თავდასხმის ცენტრალურ პუნქტათ.** კამათი დაიწყო მთავრობის კანონ-პროექტის ირგვლივ უმუშევართა დახმარებისათვის მილიონ გირ. სტერლინგის გაღების შესახებ. ეს ციფრი მუშათა პარტიამ მეტად მცირედ ჩათვალა, გარდა იმისა, რომ ინგლისის ეხლანდელი და უწინდელი მთავრობის ყველა ზომები მას ყოვლად უვარგის პალლიატივათ მიაჩნდა, რომლის საშუალებით შეუძლებელი იყო ინგლისში უმუშევრობის მოსპობა. შრომის მინისტრმა, რომელიც გამოვიდა მთავრობის სახელით, განაცხადა, რომ მთავრობა კიდევ გაიღებს თანხას, ასე რომ 31 მარტამდე მას მოუხდება პარლამენტისათვის კიდევ 2 მილიონი გირ. სტერლინგის გამოთხოვნა უმუშევრობასთან ბრძოლისათვის.

ამის გარდა მთავრობა ფიქრობს 1 ნახ. მილიონი გირ. სტერლინგის გაღებას სახელმწიფოში გზატკეცილების შესაკეთებლად, რომელზედაც იმუშავებენ უმუშევრები. მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კლეინსმა უპასუხა მთავრობის წარმომადგენელს, რომ არ შეიძლება უმუშევრობის საკითხი გადაწყდეს ცალკე თანხების გაღებით და რომ პარლამენტმა ეს საკითხი მთლიანად უნდა განიხილოს, მუშათა პარტიის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა მთავრობის წინადადების შესახებ. **პარლამენტმა უარყო მუშათა პარტიის წინადადება.** თუმცა ხმების მცირე უმრავლესობით 140—105 წინააღმდეგ; რაზედაც კლეინსმა შენიშნა, რომ შემდეგში შეიძლება უმრავლესობა მის მხარეზე დარჩეს.

ამავე დღეს ხალხმა შეხვდა უმუშევარის ვალტერ ტომკინსის ხაზგასმით დაკრძალვა. ეს უმუშევარი რამოდენიმე დღის წინად მონაწილეობას იღებდა ლონდონის უმუშევართა პროცესიაში, რომლის დეპუტაცია, როგორც ვიცით, არ მიიღო პრემიერ მინისტრმა. **ტომკინსი გარდაიცვალა შიმშილისაგან.** დაკრძალვის პროცესიაში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათი ათასმა უმუშევარმა, რომელთაც დაღუპულ ამხანაგის გვამი მიაცილეს სადგურამდე. კუბოს ვაგონში მოთავსების შემდეგ, გაიმართა უმუშევრების სკლა კუბოს წინ, ამავე დროს ხალხი მღეროდა რევოლიუციონურ სიმღერებს და მის ზევიდ ფრიალებდა წითელი დროშები. **უმუშევრის დაკრძალვამ ლონდონში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.**

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მემარცხენე ბლოკი იტალიის პროფესიონალურ მოძრაობაში.

ნოემბრის დასასრულს მილანში გაიმართა კომუნისტური პარტიისა და სერატის მაქსიმალისტურ ფრაქციის სინდიკალურ კომისიების შეერთებული თათბირი. განხილვის საგანი იყო პროფესიონალური მოძრაობის მემარცხენე ელემენტების ტაქტიკა ფაშისტების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებასა და იტალიის შრომის კონფედერაციის ორაზროვან პოზიციასთან დაკავშირებით, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს გადასდოს კონფედერალური კონგრესის მოწვევა.

თათბირმა მიიღო რეზოლიუცია კლასობრივ ბრძოლის ძველ რევოლიუციონურ ტრადიციების შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ, შეუთანხმებელი ანუ ამქრული ტაქტიკისაკენ ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, რევოლიუციონური პროპაგანდის სრული თავისუფლების მოპოებაზე და ბოლოს „შრომის კავშირის“ დაუყონებლივ აღდგენის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მუშათა კლასის ერთობის უშუალო გამოხატულებას.

პროფესიონალური მოძრაობის ამ მარცხენა ფრთის წარმომადგენლებმა გამოუშვეს მოწოდება იტალიის მუშებისადმი, რომელშიაც ისინი ააშკარავებენ შრომის კონფედერაციის მოქმედებას, რომელიც ცდილობს დააყენოს პროფკავშირები ნაციონალიზმის გზაზე, შემოაცალოს მას კლასობრივი ხასიათი და განდევნოს მათგან ყოველგვარი რევოლიუციონური მისწრაფება. სხვათა შორის მოწოდებაში მოყვანილია შემდეგი დამახასიათებელი ფაქტი: კონფედერაციის ხელმძღვანელები ბალდეზის მეთაურობით დაადგენ აშკარად ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას, დაამტკიცეს რა ეს გაერთიანება რეპრესიებით რევოლიუციონურ მუშების წინააღმდეგ, რომელთაც **საწევრო ბილეთებს [illegible] საბჭოთა [illegible].** ეს მოწოდება წარმოადგენს პირველ აქტს შრომის კონფედერაციის შიგნით მემარცხენე ბლოკის შექმნის გზაზე.

ამავე გზას მიჰყვება იტალიის „უნიონე სინდიკალე“-ს რევოლიუციონური ფრაქცია (ვეკის ჯგუფი). ხოლო უკანასკნელის ანარქისტულ უმრავლესობას უჭირავს უფრო და უფრო მტრული პოზიცია იმ ორგანიზაციებისადმი, რომლებიც ემხრობიან კომინტერნს და პროფინტერნს. ასე, მაგალითად, როდესაც გაიგეს ვეკის გამგზავრება პროფინტერნის კონგრესზე, მათ გაგზავნეს საფრანგეთის შრომის კონფედერაციაში ცნობა იმის შესახებ, რომ ვეკის ჯგუფი აღარ ითვლება იტალიის „უნიონე სინდიკალე“-ში.

საფრანგეთის კონფედერაციის ბიურომ საკმაოდ ცივად უპასუხა, რომ იტალიის შინაურ საქმეებში ის არ ერევა, ხოლო ამ ცნობას ის გადაუგზავნის თავის დელეგაციას პროფინტერნის კონგრესზე.

მაგრამ ჯერჯერობით ანარქისტული მიმდინარეობა პროფესიონალურ მოძრაობაში სრულებით ვერ ახდენს გავლენას იტალიის პროფკავშირებში და მემარცხენე ბლოკს, რომელსაც შეადგენენ კომუნისტები, მაქსიმალისტები და ვეკის ჯგუფი, საქმე აქ ექნა უმთავრესად რეფორმისტებთან, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუცავთ საკუთარი პოზიცია შრომის კონფედერაციაში.

მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ ისინი ვერ ბედავენ კონფერენციის კონგრესის მოწვევას, გვიჩვენებს, რომ მათი დღეები დათვლილია და მომავალი კონგრესი გამგეობის სადავეს გადასცემს რევოლიუციონერებს.

ბრძოლა მექრთამეობასთან

ბათომის რკინისგზის უბნის რევიზია

ქალაქის სადგური

ბათომის რკინის გზის უბნის საგანგებო სარევიზიო კომისიამ აღმოაჩინა მთელი რიგი ბოროტ-მოქმედებათა ბათომის ქალაქის რკინის გზის სადგურში.

ბოროტ-მოქმედება უმთავრესად ჩადენილია სადგურის ადმინისტრაციის მიერ, სადგურის უფროსის **პანტურიას** მისი მოადგილე კაზაკოვის და მოლარე კოსტავას სახით. ეს პირები სახელმწიფოს რკინის გზის და მისი თანამშრომლების ინტერესებს თავის კერძო ინტერესებს სწირავდენ და მით ივსებდენ თავიანთ უძირო ჯიბეებს. ასე მაგ., სადგურის უფროსმა პანტურიამ შეჰკრა ხელშეკრულება ვიღაც კიკნაძესთან, რომელიც იყო დიდი ზიანის მომტანი სახელმწიფოს რკინის გზის და მისი თანამშრომლებისათვის. აღნიშნული ხელშეკრულების ძალით, კიკნაძეს ეძლევა მონოპოლიური უფლება ქალაქის სადგურის ყველა საწყობებით სარგებლობისა.

სხვათა შორის, ამ ხელშეკრულებაში ბოროტ-განზრახვით არ იყო მხედველობაში მიღებული ზოგიერთი რკინის გზისთვის ხელსაყრელი მუხლები, როგორიც არის მაგალითად საწყობებში ტვირთის შენახვის ღირებულების განსაზღვრა. ამით სადგურის უფროსი პანტურია აშკარად აძლევდა კიკნაძეს უფლებას აეღო საქონლის შენახვაში არა საერთოდ დამტკიცებული ნორმა, არამედ იმდენი, რამდენიც კიკნაძეს მოესურვებოდა.

აი სწორედ ასეთი „მხედველობაში მიუღებელი“ მუხლით კიკნაძემ შესაფერისად ისარგებლა და შემოიღო ისეთი ნიხრი საწყობებში საქონლის შენახვაზე, რომელიც აღემატება საერთო ნორმას მთელი სამასი პროცენტით. სარგებლობდა სადგურის უფროსი პანტურიას წყალობით, სახელმწიფო ქონებით და იღებდა საწყობებში საქონლის შენახვისათვის ასეთ დიდ თანხას კიკნაძე და ამავე დროს შეჰქონდა სადგურის სალაროში ფული თანახმად ნორმალური ნიხრზე, ხოლო დანარჩენს კი იტოვებდა თავისთვის.

კიკნაძე სადგურის უფროსის პანტურიას ლოცვა-კურთხევით აწარმოებდა სახელმწიფო ქონებით სპეკულიაციას, რაიც იმაში გამოიხატება, რომ კიკნაძე რკინის გზის საწყობებით აკეთებდა თავის ჯიბისთვის სამასი პროცენტით მეტს, ვიდრე თვით რკინის გზა. მისი გაუმაძღრობა იმ ზომამდე მივიდა, რომ მან ამ მცირე წვლილიდან, რომელიც თანახმად ნორმისა, ერგებოდა სადგურის სალაროს, დაიჭირა 140 მილიონი მანეთი თავის კერძო საჭიროებისათვის.

ყველა ამას კი ბათომის რკინის გზის სადგურის ადმინისტრაცია არ აქცევდა ყურადღებას და საშუალებას აძლევდა ყველა გამვლებს გაეძარცვა სახელმწიფო ქონება.

საგანგებო კომისიის სასწრაფო ენერგიული ზომების მიღებით კიკნაძისაგან ეს 140 მილიონი მანეთი იქნა აღებული.

გარდა ყველა ამისა კომისიამ აღმოაჩინა, რომ პანტურია ყიდდა ბილეთებს სხვა და სხვა პროტექციის მიმართ და აძლევდა ბილეთებს თავის ნაცნობ-მეგობრებს.

მას საგანგებო კომისიის გამოკვლევით ეხება კიდევ მრავალი ბოროტმოქმედებანი სამსახურის მოვალეობის დროს და აგრეთვე რკინის გზის მმართველობის განკარგულებათა შეუსრულებლობაში და სხვ.

სადგურის უფროსის თანაშემწე **კაზახოვი** კიდევ უფრო აღრმავებდა ბოროტ-მოქმედებას და იმის მაგიერ, რომ გაეფრთხილებინა ბოროტ მოქმედნი და ეცნობებია ამის შესახებ სადაც ჯერ არს, პირიქით ხელს უწყობდა მათ ქურდობაში.

კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბათომის რკინის გზის სადგურში ადმინისტრაციის მხრივ თავის ხელქვეითის მოვალეობის ასრულებაზე თვალყურის დევნებას არ ჰქონია ადგილი.

საერთოდ ბათომის სადგური ისეთი ადმინისტრაციის ხელში იმყოფებოდა, რომელსაც დიდი ხანია ელოდა ციხის კედლები.

მოლარე **კოსტავა** არ წასულა შორს თავის უფროსებისაგან. მას არავინ არ ყავდა მეთვალყურე და არც კანტროლი, ისიც სარგებლობდა ისეთი გარემოებით და იღებდა მგზავრებიდან ბილეთებისათვის გაცილებით მეტ ფულს, ვიდრე მის ნორმალურ ღირებულებას.

პანტურია და კაზახოვი გადაყენებული არიან თანამდებობიდან, დატუსაღებული და გადაცემული სასამართლოზე.

ბოროტ-მოქმედება ეხება საბაჟოსაც.

საგანგებო კომისიის მიერ ქალაქის სადგურის რევიზიის დროს იქნა გამორკვეული მთელი რიგი ბოროტ-მოქმედებათა, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბათომის საბაჟოში.

კომისიამ გამოარკვია, რომ საბაჟო სახელმწიფო დაწესებულებათა სახით აძლევდა საშუალებას კერძო ვაჭრებს გაეტანათ საქონელი საზღვარ გარედ, რომელთაც არავითარი საერთო არა ჰქონდათ სახელმწიფო დაწესებულებებთან. ეს გარემოება ძლიერ ამცირებდა რკინის გზის შემოსავლის წყაროს და კერძო პირთ აძლევდა აუარებელ მოგების საშუალებას.

რკინის გზის საგანგებო კომისიამ თავი მოუყარა საბაჟოში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ მასალებს, და დაადგინა აღიძრას მის წინააღმდეგ საქმე.

ამ საქმესთან ძლიერ მჭიდრო კავშირი აქვს **პანტურიას.** მისი მეოხებით კერძო პირთ ეძლეოდათ საშუალება ესარგებლად ასეთი შემთხვევით და გაეტანათ საზღვარ გარეთაც კი საქონელი სახელმწიფო დაწესებულებების სახით.

ასეთ შემთხვევაში რკინის გზას ეძლეოდა ძლიერ დიდი ზარალი.

საბარგო სადგური.

ფუძე ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებათა ბათომის რკინის გზის უბანში იმყოფება საბარგო სადგურში.

აღმოჩენილია მთელი რიგი ბოროტ მოქმედებათა, როგორც საბარგო ოპერაციებში აგრეთვე საწყობებში.

საბარგო სალაროს შერევიზიამ აღმოაჩინა სისტემატიური გაფლანგვა სახაზინო ფულებისა კომისიამ უკვე აღმოაჩინა გაფლანგული 700 მილიონი მანეთი ქართული ბონით, ამასთანავე კანადგურებულია მთელი ამ თანხაზე შესაფერი საბუთები.

ასეთი მტაცებლობისა და ბოროტ-მოქმედების გამო დატყვევებულია საბარგო სადგურის მოლარე და მეკანტორე, რომელთა საქმეები გადაცემულია რევოლიუციონურ ტრიბუნალზე.

ამასთანავე დატყვევებულია და გადაეცემა სასამართლოს მეთვალყური—ქვთარაძე და დამწყობი—ელიავა.

ადმინისტრაციის პასუხისგებაში მიცემა.

საგანგებო კომისიამ რევიზიის შემდეგ პასუხისგებაში მისცა თითქმის მთელი უბნის ადმინისტრაცია: განყოფილების უფროსი—კობრეიძე და რევიზორი—**ზიფერტი.**

განყოფილების უფროსმა კობრეიძემ ისარგებლა იმით, რომ ყველაზე უფროსი იყო განყოფილებაში, გამოსტყუა ფულები თავის ხელქვეითებს მაგ. მან მოლარე აფრიდონიძეს მისცა 30 მილიონი მანეთი საბჭოთა ფულის ნიშნებით და მოსთხოვა უკანასკნელს დაებრუნებია მისთვის ასეთივე თანხა ქართული ბონებით, ხოლო აფრიდონიძემ შიშით ქვეშ შეასრულა ეს მოთხოვნილება და მისცა კობრეიძეს 20 მილიონი მან. ქართული ბონით და ხუთი მილიონის კი სხვა და სხვა მატერია.

ამრიგათ, კობრეიძემ მიიღო ოცდაათ მილიონ მანეთ საბჭოთა ფულში—25 მილიონი მანეთი ქართული ბონით, ხოლო ხუთ-მილიონ მანეთი კი სთვლიდა ვალად მოლარე აფრიდონიძეზე.

კომისიამ გამოარკვია აგრეთვე რომ განყოფილებას ადმინისტრაცია ძლიერ სუსტათ ადევნებდა თვალყურს მათდამი რწმუნებულ განყოფილებაში მუშაობას.

რევიზორ ზიფერტს ბრალი ედება, რომ მან იცოდა და თუ არ იცოდა შეეძლო აღმოეჩინა ეს ბოროტ-მოქმედება და იმის მაგიერად რომ ეცნობებია სადაც ჯერ არს, თვალი დახუჭა და მისცა საშუალება აფრიდონიძეს ეწარმოებია სახელმწიფო ფულების გაფლანგვა.

აგრეთვე ბრალდება იმაში ედება, რომ მიიღო მოლარე აფრიდონიძისაგან სესხის სახით 35 მილიონი მანეთი. საერთოდ კომისიის მუშაობა ძლიერ ნაყოფიერი აღმოჩნდა. აღმოაჩინა მრავალ ბოროტმოქმედ რკინის-გზის თავები, რომელნიც თავიანთი საზიზღარი მოქმედებით აფერხებდენ სატრანსპორტო საქმის წინსვლას.

„ბ. ბ.“

ამიერ კავკასიის ტელეგრამები

სომხეთი.

ერივანი, 26 დეკემბერი.

ბრძოლა მექრთამეობასთან. ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულთან შემდგარია სპეციალური კომისია მექრთამეობასთან საბრძოლველად ამხ. აბგარიანის თავმჯდომარეობით. კომისია შეუდგა მუშაობას.

პოლიგრაფიული განყოფილება. სომხეთის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პოლიგრაფიულმა განყოფილებამ გააძლიერა თავისი ნაყოფიერობა. ოქტომბერში ჩამოსხმულ იქნა 31 ფუთი შრიფტი, და ნოემბერში 99 ნახ. ფუთი. აქამდე პოლ. განყ. აკმაყოფილებდა ერევნის სტამბების მოთხოვნილებას, ახლა შრიფტი მზადდება სამაზრო სტამბებისათვის. პოლიგრაფიული განყოფილება გზავნის მოსკოვში სპეციალურ პირს სტამბის საქმის შესასწავლად.

ერევანი. 27 დეკ. შიმშილობა ზანგეზურში. ზანგეზურიდან იტყობინებიან, რომ შიმშილობა იქ გრანდიოზულ ხასიათს ღებულობს, დამშეულნი ტოვებენ მაზრას.

ახალი გაზეთი. ალექსანდროპოლში 15 იანვრიდან გამოვა [illegible] ყოველდღიური გაზეთი „შირაქ რანჩპარ“ მისი ტირაჟი წინასწარ განისაზღვრულია 15000 ეგზემპლიარით.

გლეხების წყალსადენი. ბასანინის რაიონში გლეხებმა მოაწყვეს წყალსადენი, რომლის გასაყვანად დახარჯულ იქნა 4000 მ. ოქროთი.

საფეიქრო ქარხანა. ალექსანდროპოლში მიღებულია 33 ვაგონი საფეიქრო ფაბრიკის ნაწილების უკანასკნელი პარტია.

საქართველო.

ბათომი, 26 დეკემბერი.

მატარებლების გაძარცვა. 23 დეკემბერს ქობულეთ-ნოტანებს შორის ბოროტ-მოქმედთა მიერ გაძარცულ იქნა სამარშრუტო მატარებელი № 301. ზარალის რაოდენობა ჯერ [illegible] არ არის გამორკვეული, იმ ღამეს სამტრედიასა და [illegible] გაძარცულ იქნა მატარებელი № 22; წაღებულია 29 ფუთი მანუფაქტურა.

პარტიული ცხოვრება

საქართ. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 29 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში: 1) მუშათა მოძრაობა დასავლეთში და კაპიტალის შემოტევა (პროფინტერნის ყრილობის გამო).

თეზისები გამოქვეყნებული იქნება გაზეთის მახლობელ ნომერში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

პარასკევს, 29 დეკემბერს,

ერთიან პარტიულ დღე

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი [illegible]ადადებას იძლევა დამატებით გააცნონ იაჩეიკები გაზეთებში მოთავსებულ მასალების მიხედვით ბავშვთა მოძრაობის საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის მიერ განზრახულ კვირეულს.

მდივნის მაგიერ რუბენი.

მეოთხე რაიონ[illegible]

ამხ. შ. ელიავას მოხსენება ამიერ-კავკასიის [illegible]თა ყრილობის შესახებ

27 დეკემბერს ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიონის საზოგადო პარტიულ კრებაზე ამხ. ელიავა გამოვიდა მოხსენებით ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ. აღნიშნა რა, უკვე წინასწარი გაერთიანება ამიერ-კავკასიის სამეურნეო ერთობისა—აზერბეიჯანის ნავთის მოპოება, მებამბეობა, მუღანის და [illegible] ველების,—მომხსენებელი გადავიდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითად დებულებათა განმარტებაზე. ნათლად ამოსწურა რა ძირითადი აზრი იმის შესახებ რომ ორმა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა საფუძვლად დაედვა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, ამხ. ელიავამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ორივე ფედერაციის ცენტრალიზაცია ხდება მხოლოდ რესპუბლიკების სამხედრო, სამეურნეო და საორგანიზაციო ღონისძიებათა აღმშენებლობაში ყველა დარჩენ დარგებში თითეულ რესპუბლიკას რჩება სრული თავისუფლება ინიციატივისა.

ამიგად, კულტურულ-ეროვნული ამოცანები ამა თუ იმ რესპუბლიკისა სწყდება მათ მიერ სრულიად დამოუკიდებლათ.

ფუძეველი მსოფლიოში ამ არ გაგონილ კავშირისა არის **საზოგადოებრივი საკუთრება და პროლეტარიატის დიქტატურა.** ნაციონალური „იარლიკები“ სრულიად თავიდან იქნება მოშორებული, მოისპობა საზღვრები რესპუბლიკათა შორის, აღარ იქნება არავითარი მიზეზი ტერიტორიალურ-ეროვნულ განხეთქილებისა, რომელიც აქამდე ღრღნიდა და ქსაქსავდა კაპიტალისტურ ქვეყანას.

პროლეტარიატის უდიდეს ავანგარდის, კომუნისტურ პარტიის, ხელმძღვანელობით აყვავდება საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობა, იმ ხალხთა, რომელსაც განაგებენ მოსახლეობის პროპორციონალობის და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების გარანტიების საფუძვლებზე.

შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკების გაერთიანება წარმოადგენს მძლავრ, დაუძლეველ მუშტს თავდამსხმელ კაპიტალის წინააღმდეგ. მომხსენებელმა დაამთავრა მოწოდებით რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ იდეია კავშირისა და აწარმოვონ უსასტიკესი ბრძოლა მის მოწინააღმდეგეებთან.

მოხსენების შემდეგ ერთხმათ, ერთის თავის შეკავებით, მიღებულია რეზოლიუცია, რომლითაც წინადადება ეძლევა ყველა კომუჯრედებს, რაც შეიძლება მეტის ენერგიით გაავრცელონ იდეა კავშირისა უპარტიოთა ფართო მასებში.

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები

(ცენტრალური გამწმენდი კომისიის ანგარიშები)

თელავის მაზრა. სამაზრო პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა 205 კაცით ან ამ ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 49,4 პროცენტი. გამორიცხულთა დანაწილება პარტიიდან გამორიცხვის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გამორიცხული (გაწმენდის ინსტრუქციის § 10 თანახმად) 36 კაცი; სრულებით გამორიცხულია—164 კაცი, და დროებით გამორიცხულია—5 კაცი; ამრიგად მექანიკურად გამორიცხულები შეადგენენ 17,6 პროცენტს, სავსებით გამორიცხულები—80,0 და დროებით გამორიცხულები—2,4 პროც.

გამორიცხულთა დანაწილება მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით წარმოადგენს შემდეგს:

	გამორიცხულები	დროებით გამ.	მექანიკ. გამ.	სულ
მუშები	1	—	—	1
ხელოსნები	25	1	1	27
გლეხები	132	4	35	171
მოსამსახ. და სხვ.	6	—	—	6
სულ	164	5	36	205.

თვითოეულ სოციალურ ჯგუფში პარტიულ რიგების შემცირება პროცენტების მიხედვით ასეთია: თვითოეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშებმა—11,1 პროც; ხელოსნებმა—67,5 პროცენტი; გლეხებმა—49,9 პროც; მოსამსახურეებმა—28,5 პროც. უმეტესი პროცენტი დაჰკარგეს ხელოსნებმა, შემდეგ გლეხებმა და ბოლოს მოსამსახურეებმა და ინტელიგენტურმა ელემენტებმა.

მუშებმა დაჰკარგეს სრულებით უმნიშვნელო პროცენტი.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით, როგორც არაკომუნისტური, საეჭვო და არა-საიმედო ელემენტი—68 კაცი; ყოფილი პოლიციელობისა და თეთრებთან სამსახურისათვის—7 კაცი; ძალა უფლების ბოროტად გამოყენებისათვის—1 კაცი; ბანდიტიზმისა და ქურდობისა და ბოროტმოქმედებისათვის—6 კაცი; კარიერიზმის, პარტიაში პირადი სარგებლობის მიზნით შემოპარვის გამო—2 კაცი; ლოთობის, უპასუხისმგებლობის და უდიერად მოპყრობისათვის—4 კაცი; სარწმუნოებრივი წესჩვეულების ასრულების გამო—5 კაცი; თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და თვით მომარაგებისათვის—7 კაცი; სპეკულიაცია და ვაჭრობისათვის—7 კაცი; უზნეობა და პროსტიტუციისათვის—1 კაცი; პარტიული სტაჟის გადამეტებისათვის—1 კაცი; სხვის შრომის ექსპლოატაციის (კულაკობისათვის)—4 კაცი; პარტიული დავალებათა შეუსრულებლობისა და პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის—51 კაცი; პასიურ წევრობისათვის (ზედმეტ ბალასტი)—3; სხვა პარტიებიდან შემოხიზნულები—2 კაცი; სულ 1 კაცი; მექანიკურად გამორიცხულნი—36 კაცი.

საქართველოს წითელ-არმიელ ორგანიზაცია. არმიის პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა აღნიშნულ ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 42,9 პროცენტით.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გამორიცხულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი სამოქალაქო გადასახადი მოხმარდება ქალაქის ელექტროფიკაციის საქმეს.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

ცეცხლის მქრობელთა შორის.

მოვისმინეთ რა ამხ. ამოს მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ დავადგინეთ:

ცეცხლის მქრობელ რაზმების მუშათა საერთო კრება სალამს უძღვნის ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს,—ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა არის მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველი! ყრილობის გადაწყვეტილება ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მჭიდრო კავშირის შექმნის, და ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძმურ ოჯახში შესვლის შესახებ, არის მთელი ქვეყნის პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიული აქტი.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანებას და სოლიდარობას!

ბორჯომი

ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის ყრილობამდე, ადგილობრივმა პარტ. ორგანიზაციამ მიიღო დირექტივები, რათა ჩაეტარებია კომპანია საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის და კავშირის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე; ეს საკითხი ირჩეოდა იაჩეიკებში, საზოგადო პარტ. ყრილობაზე, სადაც მოხსენებას აკეთებდა ამხ. რუხაძე, და სიამაშვილი. მშრომელი მასა ყველგან აღფრთოვანებით შეხვდა პროლეტარული სახელმწიფოების შეკავშირებას და პროლეტარული ფრონტის გაერთიანებას. ეს საკითხი საზოგადო საბჭოთა ყრილობის კრებაზედ იყო დასმული, სადაც ერთხმად აღიარეს კავშირის აუცილებლობა და გაუგზავნეს მხურვალე მისალმება უზენაეს ორგანოებს ამ დიდი იდეის განხორციელებისათვის.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის დამთავრების შემდეგ დაბრუნებული ამხ. დელეგატები აკეთებენ უპარტიო მშრომელი მასის წინაშე საანგარიშო მოხსენებას, რასაც მასა დიდი სიამოვნებით და კმაყოფილებით ხვდება ყველგან ერთი ლოზუნგით:

გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციას.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

(გაწმენდის ინსტრუქციის § 10 თანახმად)—4,4 პროცენტი, დროებით გამორაცხულია—0,9 პროცენ. და გამორიცხულია—94,7 პროც.

თვითეულ სოციალურ ჯგუფში პარტიული რიგების შემცირება გამოიხატება შემდეგ პროცენტებში: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა დაჰკარგა: მუშებმა 11,8 პროც. ხელოსნებმა 4,5 პროც., გლეხებმა 72,5 პროც., მოსამსახურეებმა და სხვ. 11,3; ყველაზე დიდი პროცენტი დაჰკარგეს გლეხებმა, შემდეგ მოსამსახურეებმა და ინტელიგენტურმა ელემენტებმა მათ მიჰყვებიან მუშები და ბოლოს ხელოსნები.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით. პარტიის გარეშე დარჩენილთა საერთო რიცხვიდან გამორიცხულები როგორც არა კომუნისტური ელემენტი შეადგენენ 9,0 პროცენტს, მექრთამეობისათვის და პირადი სარგებლობის მიზნით უკანონო მოქმედებისათვის 0,2 პროც., ბანდიტიზმისათვის, ქურდობისათვის და როგორც ბოროტმოქმედი ელემენტი 0,4 პროც., ინტრიგანობისათვის 0,4 პროც., პარტდეზერტირობისათვის და სამხედრო ბეგარის თავიდან აცილებისათვის 63,4 პროც., კარიერიზმისა და პირადი სარგებლობის მიზნით პარტიაში შემოპარვისათვის 3,2 პროც., მორწმუნეობისათვის 0,6 პროც., ბიუროკრატიზმისა და სამსახურისადმი გულგრილობისათვის 0,2 პროც., პარტიული სტაჟის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდებისათვის 0,8 პროც., სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის 0,4 პროც., პარტიულ ვალდებულებათა აუსრულებლობისათვის და პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის 2,4 პროც., თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის და თვითმომარაგებისათვის 0,8 პროც., ყოფილი პოლიციელი და თეთრებთან ხვა სამსახურისათვის 1,3 პროც., პასიურ წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი) 11,7 პროც. სულ 95,6 პროც., მექანიკურად გამორიცხულია 4,4 პროცენტი.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია.

ქალაქის წყალსადენის კომუჯრედი.

22 დეკემბერს კომუჯრედის მორიგ სხდომაზე დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ფაშიზმის შესახებ,
2) მოხსენება ადგილობრივი კომიტეტისა;
3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჩიხლაძემ. რომლის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა . კომუჯრედის კრებამ მოხსენება ამხ. ჩიხლაძისა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნებში ფაშისტურ მოძრაობის განვითარების შესახებ, რაიც გამოიხატება კაპიტალის მუშათა კლასის წინააღმდეგ შემოტევაში და რაიც შედეგია მუშათა კლასის გამყიდველ შემთანხმებელ სოციალისტების მუშაობისა, კრება იმედს გამოთქვამს, რომ ყოველივე ამის შემდეგ პროლეტარიატი კიდევ დარწმუნდება მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების მოღალატეობაში და დაინახავს თავის ინტერესების ნამდვილ დამცველად, მეორე საკითხის შესახებ კუჯრედი ავალებს ადგილობრივ კომიტეტს მორიგ კომუჯრედის კრებაზე მოხსენება გააკეთოს თავის მუშაობის შესახებ, დაავალა აგრეთვე ინჟინერ დიასამიძეს ერთ-ერთ მორიგ კრებაზე მოხსენების გაკეთება ქალაქის წყლსადენის მდგომარეობის შესახებ.

ინფ. კორესპონდენტი ქ. [illegible]

ქალთა შორის მუშაობა.

იწყებს რა თავისი მუშაობის სისტემატიურათ გაშუქებას ქალთა განყოფილების გაზეთის ფურცლებზე, ტფილისის კომიტეტი მიმართავს ქალაქ ტფილისის მუშა ქალებს თხოვნით თვალყური ადევნონ გაზეთებს რომლებშიაც მიმდინარე მუშაობის ანგარიშის გარდა ქალთა განყოფილება მოათავსებს სახელმძღვანელო ხასიათის წერილებს, რომლის საშუალებით მშრომელ ქალთა ფართე მასსები, გაეცნობიან ქალთა განყოფილების მიზნებს და ამოცანებს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მიერ 9 დეკემბერს მოწვეულ იქნა ტფილისის მუშა ქალთა საერთო-საქალაქო სადელეგატო თათბირი.

დაესწრო: ქალთა ორგანიზაციების მოთავეები 27 ქალი და 150 დელეგატი ქალი.

დღის წესრიგი:

1) მუშათა საერთაშორისო მოძრაობა.
2) ვენერიული სნეულებანი.

თათბირი განსაკუთრებული სიცხოველით ჩატარდა, დიდი ინტერესი მე-2 საკითხმა გამოიწვია. მომხსენებელს ამხ. მონინს აურიცხელ კითხვებს აძლევდნენ. რადგან თათბირი დიდხანს გაგრძელდა დადგენილ იქნა ამ საკითხის გადატანა სარაიონო სადელეგატო კრებებზე, ამას გარდა თათბირმა დაადგინა მომავალ საერთო-საქალაქო თათბირზე პირველი მოხსენება ვენერიულ სნეულებათა შესახებ გაიმართოს ქართულ ენაზე.

პირველი საკითხის შესახებ, რეზოლიუცია არ იქნა გამოტანილი, რადგან მოხსენება გადატანილია მავალ სადელეგატო კრებაზე. ვენერიულ სნეულებათა საკითხის შესახებ თათბირმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია. მოისმინა რა ამხ. მონინის მოხსენება ვენერიულ სნეულებათა შესახებ მუშა ქალთა საერთო-საქალაქო სადელეგატო კრება სთვლის, რომ ის არის კაცობრიობის უსაშინელესი მტერი. ეკონომიური სიღატაკე მიერეკება უმუშევრებსა პროსტიტუციის სამარცხვინო გზაზე, რომლის ერთ-ერთი თანამგზავრია ვენერიული სნეულება. ვსთვლით რა, რომ ეს უბედურება კაცობრიობის გადაშენებას უქადის, ჩვენ განთავისუფლებულ წითელ ტფილისის მუშა-ქალები აღთქმას ვდებთ, რომ უდიდეს ყურადღებას მივაქცევთ ამ საკითხს, მივესალმებით რა იმავე დროს ჯანმრთელობის განყოფილების და ქალთა განყოფილების მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებებს ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლაში და თავის მხრივ პირობას ვიძლევით ვაწარმოვოთ მასსებში აგიტაცია ამ საკითხის გარკვევის და განმარტების მიზნით და მივიღოთ აქტიური მონაწილეობა ვენერიულ სნეულებებთან მებრძოლ ბიუროს მუშაობაში.

ტფილ. კომიტ. ქალთა განყოფილების გამგე ხ. დალნაია.

დუშეთის სამაზრო პარტკომის მუშაობის მოკლე ანგარიში ნოემბერში

ნოემბრის თვეში უკვე დამთავრდა მაზრაში პარტწმენდა. მან წამოწყებითი მუშაობა შეაჩერა, მაგრამ ორგანიზაციის გაძლიერებას ძალიან ხელი შეუწყო. შედეგი პარტწმენდისა ჯერ პარტკომმა არ იცის, მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ ფრიად დადებითი შედეგებს მოგვცემს, არა სასურველ ელემენტებიდან განთავისუფლებით. ქვემდებარე ორგანიზაციებთან სრული კონტაქტია.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დარგში ჩატარებულ იქმნა აგიტკამპანიები: ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ოქტომბრის დიდი რევოლიუციის 5 წლის თავი და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ. ოქტომბრის დღესასწაული ჩატარებული იქნა დიდი ენტუზიაზმით. სხვა კამპანიების შესახებ მიტინგებზე გამოტანილი რეზოლიუციები აშკარათ გვიჩვენებს რომ ჩვენსკენაა მაზრის რევოლიუციონური გლეხკაცობა. ქალაქში გახსნილია პოლიტიკური წრე, რომელშიაც სწარმოებს ინტენსიური მუშაობა.

მაზრა კულტურულათ დიდათ ჩამორჩენილია, მის ფარგლებში არ ყოფილა არც საშუალო სასწავლებელი, არც თეატრი, არც სამკითხველო, არც კლუბი. ყველა ზევით ჩამოთვლილი მაზრისათვის უცხო ხილია. აი ამ პირობებში უხდებოდა მუშაობა საგიტ.-პროპ. განყოფილებას, მაგრამ მან მაინც შესძლო მოეწყო თეატრი, შეიძინა კინო, მოაწყო სამკითხველო, რომელიც წიგნებით მდიდარია, გაზეთებსაც საკმაოთ ღებულობს. არჩეულ იქმნა კლუბის გამგეობა, დაარსებული იქმნა სექციები. კინო კვირაში სურათებს ღებულობს ორჯერ, თეატრში, კინოში დამსწრეთა რიცხვი დიდია. ეს მუშაობა ჯერ სწარმოებს ქალაქის მასშტაბში. ახლა ჯერი თემებზეა, შენობები თეატრისათვის თითქმის ყველა თემებში არის და მალე იქაც იქნება გახსნილი, მით უმეტეს განყოფილებას აქვს მატერიალური შესაძლებლობა ამისა.

ქალაქთა განყოფილებამ გახსნა ამხ. ფ. მახარაძის სახელობის ბავშვთა თავშესაფარი რის გამო ყველა თემებში გაიგზავნა მოწერილობა, რომ თითო თემმა გამოგზავნოს ორ-ორი ობოლი ბავში. საბავშო სახლში მოსათავსებლათ, ჯერ-ჯერობით მოგროვილია 18 ბავში. განყოფილება შეუთანხმდა კომუნალური განყოფილებას და უკანასკნელი თითქმის ყველა თემებში ხსნის საქსოვი საფეიქროებს, რისთვისაც უკვე მიღებულია სასწრაფო ზომები. აგრეთვე დადგენილი იქნა ქალთა და სააგიტ. განყოფ. მიერ, ამ ზამთრის პერიოდში გახსნილი იქმნას ქალებისათვის სკოლები ყველა იმ თემებში, რომელშიაც არსებობს შრომის სკოლები.

საბჭოთა მოსამსახურე ქალთა კრებები ხდება ორჯერ მაინც თვეში, უკანასკნელ კრებაზე მოხსენება გაკეთდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ.

ასეთი მუშაობამ ჩაითრია საქმეში თემების ქალებიც, რომლებმაც ერთხმათ განაცხადეს: „თქვენ იმუშავეთ და ჩვენ აღმოგიჩენთ ყოველგვარ დახმარებას“ ო.

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირს პარტკომი კარგად მუშაობს ურთი-ერთ შორის წარმომადგენლობა დაცულია. პარტიის იაჩეიკის კრებებზე ესწრებიან კავშირის წევრები. დღემდის თუ ახალგაზრ. ორგანიზაციები იყვნენ დაქსაქსული, დღეს კი ორგანიზაციული მუშაობა უკვე დამთავრებულია და მან დაიწყო წევრების და ახალგაზრდა გლეხობის აღმზრდელობის დარგში მუშაობა რაც უკვე ინტენსიურათ მიმდინარეობს.

არც ერთი კოოპერატივი არ მუშაობდა გასაბჭოების დროს, ვინაიდან ასეთები გაკოტრდნენ თვით მენშევიკების დროს. ამიტომ აღმასკომს მოუხდა აგვისტოს თვეში მუშათა კოოპერატივის გახსნა, რომლის წევრთა რიცხვი თ 6 და თან იზრდება, თითქმის ყველა კომუნისტები წევრათაა. გამგეობაში არჩეული იქმნენ 5 მათ შორის 3 კომუნისტი და 2 უპარტიო. ამ მოკლე ხანში კოოპერატივმა შესძლო მოეპოვა სიმპატია ხალხში, ვინაიდან ის დაკლებულ ფასებში ყიდის საქონელს.

გიდრო-ელექტრიული სადგურის მოწყობა შეიძლება მხოლოდ მშრომელ ტფილისის ენერგიით.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბირჟაზე.

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობების მიხედვით, ბაზარზე ადგილობრივი ფქვილზე ფასი დაეცა. ხორბალზე მოთხოვნილება დიდია.

შაქარზე მტკიცე ფასია. ჩაიზე ფასები აწეულია. ცეილონის ჩაის „სოსიფრონს“ ის ფუთი—24 მილიონი. ბაზარზე სრულებით არ მოიპოება ადგილობრივი ჩაქვის ჩაი.

ძვირია მანუფაქტურა მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთიდან დიდი რაოდენობით შემოდის. გაძვირდა ინგლისური შევიოტი და საზოგადოთ მატყლის საქონელი. ფასებიქასეთი არის: ყუბანის ფქვილი გაცრილი, ფუთი—450—460, „რაზმოლი“—280—300, ამერიკული ფქვილი „ნელსონი“ 1 სახ.—1100—1200, ამერიკული 2 ხარისხის ფუთი — 800—900,000 ადგილობრივი ხორბალი ფუთი—240—260. ქერი—180—190. ხორბლის ფქვილი—280—300. სიმინდი—160—170. შაქარი რაფინადი ნაჭერი ჰოლანდიური ყუთი 3 ტომარა—10,000—10.200. ფხვნილი შაქარი ფუთი—2,500—2600. ნარმა ს. ს. ს. „სობგოლ.“ თოფი 40 იარდი—8000—8200. რუსული ნარმა არშინი—110—115 საზღვარ-გარეთის სატინი იარდი—38—40 პიასტ. რუსული ჩითი არშინი—90—100. საზღვარ-გარეთის მადეპალამი იარდ.—45—60. რუსული მადეპალამი არშინი—160—180. უბრალო შევიოტი მეტრი—4—6 ოსმალ. ქაღალდის ლირა ადგილობრივი მარ. საპონი ფუთი—1200—1700. მარსელის საპონა 50 კილ. 25—27 ოსმ. ქაღ. ლირა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატში

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის განყოფილებათა და კანტორების რეგისტრაცია.

ამ ჟამად ტფილისში სწარმოებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მოწვეულია მთავარი გამგეობის მიერ ადგილობრივ მუშაკთათვის ინფორმაციის მოწოდების მიზნით ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ამოცანების და მუშების ძირითად ეტაპების შესახებ და მოღვაწეობის შედეგების გამოსარკვევად როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. უკვე თათბირის პირველ დღის აღინიშნა, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ადგილობრივ ორგანოების მოღვაწეობა არ შეეფერება ამ ორგანიზაციის მუშაობის მთავარ ხაზს. ამგვარად საკითხი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილებათა და კანტორების რეორგანიზაციის შესახებ თითქოს პირ[illegible] გამომდინარეობს მისი ორგანოების წინასწარ მუშაობიდან და თქმა უნდა თანადროულიც არის. ამ კარდინალურ საკითხზე გამართულ თათბირზე მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის გამგეობის მდივანმა ამხ. ვოლოლაძემ.

„ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი დღემდის ორგანიზაციის სტადიაში იმყოფება. [illegible] ხნის განმავლობაში გამგეობამ [illegible] გამოარკვია მატერიალური რესურსები, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება ცენტრსა და ადგილებზე, [illegible] ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომიტეტის მუშაობის [illegible], როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, გამოარკვია მუშაობის შედეგი, უმთავრესად უახლოესი სავაჭრო შესაძლებლობანი როგორც შინ, ისე საგარეო ბაზარზე.

უახლოეს მომავლის ხასიათის და აგრეთვე [illegible] განსაზღვრის გამო, საჭირო შეიქმნა ხელ ახლა გადაგვესინჯა ამიერ-კავკასიის სახ. ვაჭრობის კ—ტის სქემა რათა შეგვექმნა უფრო მოქნილი, მოძრავი და მართლადაც კომერციული აპარატი: წარსულის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ აპარატი ვეებერთელა იყო და დაავადებული იყო ბიუროკრატიულ დაწესებულების სენით, ცენტრი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სქემის ცხოვრების მოთხოვნილებებთან შეფარდება არც ისე [illegible] იყო და ამისდა მიხედვით საჭ[illegible] გახდა საექსპორტო საიმპორტო [illegible] სავაჭრო განყოფილებებიდან ჩამოშორებია მთელი რიგი ფუნქციები (შაქრის და ნავთის საქმე, საფეიქრო საქონლის ჯგუფი და სხვ.) [illegible] დამოუკიდებელ ჯგუფებში სავაჭრო განყოფილებისათვის დაქვემდებარებით.

ამ ძირითად დებულების მიხედვით უნდა იქნას გამომუშავებული ამიერ-კავკასიის სახელმწ. ვაჭრობის კ—ტის ადგილობრივ ორგანოების სქემაც. ამიერ კავკასიის სახელ. ვაჭრობის კომისარიატის განყოფილებები და კანტორები დაარსებული იყო ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა პუნქტებში და მის გარეშეც. ვფიქრობდით, რომ ისინი იქნებოდნენ ფილიალები, რომელნიც მიცემულ ფონდების ფარგლებში შეასრულებდნენ ამ ამოცანებს, რომელიც ამიერ-კავკასიის სახელ. ვაჭრობის კომისარიატმა დაისახა, და ამისდამიხედვით ადგილებიდან მოსულ განცხადებათა თანახმად შედგენილ იქნა მათი შტატები—იმ ვარაუდით, რომ ეს ნაკარნახევია გადაუდებელ მოთხოვნილებათა მიერ.

ჩვენი განყოფილებების და კანტორების 4 თვის მუშაობა, რამდენადაც ეს აღნიშნულია წარმოდგენილ ანგარიშებში, გვარწმუნებს ჩვენ, რომ განყოფილებები და კანტორები არ ეწევიან დამოუკიდებელ მუშაობას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათ მიერ სრულიად გამოუსადეგარ საწვრილმანო დუქნების დაარსებას, (განჯაში, სოხუმში, ოჩამჩირეში), და ამგვარად ისინი არიან მხოლოდ ცენტრის განკარგულებათა უბრალო აღმასრულებლნი.

ადგილებზე ფაქტიური მუშაობის სივრცე იმდენად უმნიშვნელოა, რომ ერთი თვალის გადავლებით ვამჩნევთ შეუფერებლობას მუშაობასა და არსებულ შტატების შორის ამიერ-კავკასიის სახელ. ვაჭრობის კომისარიატის ფაქტიური შტატები 1 დეკემბრისათვის შესდგებოდა 168 კაცისაგან 14,670 მან. და 91 კაპ. ოქრ. მანეთი ჯამაგირით (ცენტრში—66 კაცი 5,365 მ. და 65 კაპ. ჯამაგირით, ბათუმი—19 კაცი 1,405 მ. და 80 კ. ჯამ., ბაქოში—20 კაცი—1,528 მ. და 60 კ., განჯაში—4 კაცი—518 მ. და 60 კაპ., სოხუმში—25 კაცი—1,560 მ., ერევანში—7 კაცი—542,4 მ., მოსკოვში—5 კაცი 492,8 მან., თავრიზი—9 კაცი—2, 180,33 მან., ჯულფაში—4 კაცი—490,83 მ., შახტახტში—2 კაცი—180,3 მან., ხოიში—2 კაცი—250 მ., სალმასის პუნქტში—1 კაცი—80,3 მ. და ამდენივე ურმიის პუნქტში). ამ ჯამს საჭიროა მიემატოს კიდევ 12 პროც., რომელიც ეძლევა დამზღვევ კასას და 2 პროცენტი—პროფკავშირებს, ანუ თვეში 2,053,89 მანეთს. და ამგვარად შტატის საერთო შენახვა თვეში გამოიხატება 16,724,8 მან. ოქრ. 1 იანვრიდან საკავშირო საბჭოს დადგენილების თანახმად, დასაზღვევ გადასახადების 21 პროცენტამდე გადიდების გამო, შტატის ყოველთვიური შენახვა გამოიხატება 17.751.79 ოქრ. მანეთში. თუ შევადარებთ შტატების შენახვის თანხას საქონლის ტრიალის საერთო ჯამს, ჩვენ მივიღებთ კარგა მოზრდილ პროცენტულ შეფარდებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს აწვება საქონლის ბრუნვას. მიუხედავად დიდი შტატებისა, ცენტრს არ აქვს თავის დროზე ანგარიშები, ცნობები, რომელიც ახასიათებს ადგილობრივ ბაზრების მდგომარეობას, მათ მოთხოვნილებას, შესაძლებლობას და სხვას. ამგვარად წარმოებულ ფაქტიურ მუშაობის სიდიდე არ შეეფერება არსებულ შტატებს და მხოლოდ ამის გამო ეს უკანასკნელი მეტად სამძიმოა საქმისათვის.

ამიერ-კავკასიის სახელ. ვაჭრობის კომისარიატი დაინტერესებულია საექსპორტო ნედლ მასალით, რომლის დამზადებასაც ხმარდება მისი საშუალებანი და აგრეთვე იგი დაინტერესებულია. საიმპორტო საქონლით, რომელიც გამოსადეგია ნედლი მასალაზე გასაცვლელად და ფართო მასებისათვის მისაწოდებლად. ამის გამო გამგეობამ საჭიროთ სცნო ცენტრში იყოლიოს აპარატი, რომელიც უნდა შესდგებოდეს სამდივნოსაგან (საორგანიზ. საინსტრუქტ. მუშაობისა), სავაჭრო განყოფილებისაგან (ცალკე დამოუკიდებელ სავაჭრო ფუნქციების გამოყოფით—ნედლი მასალის, სათბობი მასალის, შაქრის, საფეიქრო, უცხოეთის შეკვეთათა, სარაიონო რწმუნებულები და საზღვარ-გარეთის წარმომადგენლობა და ბოლოს მთავარი ბუჰალტერიისაგან.

რაც შეეხება ადგილებს, იქ საჭიროა ისეთი რეორგანიზაცია, რომელიც შეძლებას მოგვცემს მოვაწყოთ უბრალო მოძრავი აპარატი ცენტრის დავალებათა სისწორით შესასრულებლად. ზოგიერთ პუნქტების გამოკლებით მომხსენებელს არარაციონალურად და შეუფერებლად მიაჩნია განყოფილებათა და კანტორების არსებობა მათი შტატებითურთ და საჭიროთ მიაჩნია რწმუნებულების ინსტიტუტის დაარსება. რწმუნებულებს დანიშნავს ამიერ-კავკასიის სახელ. ვაჭრობის კომისარიატი იმ რაიონებში, რომელიც აინტერესებს მას როგორც საექსპორტო საქონლის დამზადების, ისე საიმპორტო საქონლის გასაღების მხრივ. არავითარი აპარატი რწმუნებულებს არა აქვთ და თავიანთ დავალებათა სისრულეში მოსაყვანად სარგებლობენ ადგილებზე არსებულ კოოპერატიულ ან სახელმწიფოებრივ ორგანიზაციების ან კერძო დაწესებულებათა და პირთა სავაჭრო აპარატებით—სარგებლობენ ამ დაწესებულებათა საწყობებით და სატრანსპორტო აპარატით. რწმუნებულების მოვალეობას შეადგენს ცნობების მოწოდება ბაზრის მდგომარეობის შესახებ ამა თუ იმ საქონლის ფასების აღნიშვნით, აგრეთვე ცნობების სავალიუტო ბაზრის შესახებ (გარდა საქონლის და ფულის შემოსავალ-გასავლის ანგარიშებისა და სხვა), ამხ. ვოლოლაზსკის უფრო რაციონალურად მიაჩნია რწმუნებულისათვის დაწესებულ მინიმუმის მიცემა შესრულებულ დავალებათა პროცენტების მიმატებით.

ბათუმს უჭირავს განსაკუთრებული ადგილი და როგორც საქონლის დაგროვების პუნქტში, აქ უნდა იქნეს დატოვებული საწყობები და შტატი ისევე როგორც თავრიზში და მოსკოვში, მაგრამ შტატები მინიმუმამდე უნდა იქნას შემცირებული.

ამ რეორგანიზაციას და რწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსებას შედეგად მოჰყვება საქონლის დამზადების ცენტრალიზაცია, რასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები,—კომერციულ შედეგების აღრიცხვის ცენტრალიზაცია, რის გარეშეც შეუძლებელია სათანადო ხელმძღვანელობა, მთელი აპარატის გამარტივება და დამზადებელ ნედლი მასალის ბუნებრივი გაიაფება ზედმეტ ზედდართულ ხარჯების შემცირების საშუალებით.

„ჩემო“-ს საზოგადო კრება

3-ე სხდომა.

დატვირთვის საკითხები და მუშათა საკითხი.

სულიერი განწყობილება ნერვიულია. კამათი სწარმოებს დატვირთვის და მუშათა საკითხების გარშემო.

სხდომაზე მოწვეული არიან შრომის სახ. კომ სარიატის, პროფესიონალურ კავშირის, რკინის გზათა და სხვ. წარმომადგენლები.

ყრილობა ისმენს მოხსენებას ჭიათურაში და ფოთში წარმოებულ დატვირთვის ოპერაციების შესახებ. სტატისტიკურ ცნობების მიხედვით ჭიათურაში 1 ივლისიდან—1 დეკემბრამდე დახარჯულია 10.607 429.918 მანეთი ქართული ბონით: ერთი ფუთის დატვირთვა დაჯდა 1,87 კაპ. ოქროთი. ფოთში მუშებს იმავე ხნის განმავლობაში მიეცათ 129 665 მან. ოქროთი. თვითეული ფუთი ჯდება 3.656 კაპ. დატვირთვა ჭიათურაში ჯდება 4-ჯერ მეტი, ხოლო ფოთში 7 ჯერ მეტი, ვიდრე ომის წინა დროს.

დატვირთვას, „ჩემოს“ დირექციის განცხადების თანახმად სწარმოებს შავი ქვის მრეწველთათვის მეტად მძიმე და არახელსაყრელ პირობებში.

დროებითი პირობები, რომელიც მუშათა პროფესიონალურმა ორგანოებმა [illegible] დაადგინეს ჭიათურის ხაზზე [illegible] ადგენის გამო დატვირთვის განახლების შესახებ, დირექციისათვის მიუღებელია.

შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მუშები არ ამბობენ უარს იმუშაონ დროებითი პირობების მიხედვით ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადებამდე. „ჩვენ ვამბობდით რომ თქვენ ეს უფრო ძვირად დაგიჯდებათ, ვიდრე ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პირობები“. ორატორი აცხადებს, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ვერ მისცემს „ჩემოს“ ისეთ შეღავათს, რომელსაც მისი მონაწილენი მოელიან. ძველი კოლექტიური ხელშეკრულებით დატვირთვის და გადმოტვირთვის ოპერაციებს ანგარიშობენ 1 | 2 კაპიკად ფუთზე—ჭიათურაში, ფოთში კი 2 კაპ. მუშები ყველაზე ნაკლებად არიან დამნაშავენი იმაში, რომ ეს ციფრი გაიზარდა. მთავარი მიზეზია ის, რომ „ჩემოს“ მონაწილენი დარაზმული არ არიან. მუშაობის შეჩერების მნიშვნელობაც დიდია ამ საკითხში. მიზეზი იყო აგრეთვე ფოთში სალიკვიდაციო ფულების დაგვიანებით გადაგზავნა.

ჭიათურის რკინის გზის ხაზის მდგომარეობა.

რკინის გზათა უფროსის მოადგილეს ამხ. ლედერს მოჰყავს ვრცელი ცნობები ჭიათურის ხაზის მდგომარეობის შესახებ. დროებითი მოძრაობა აღდგენილ იქნა 15 დეკემბრიდან. მოძრაობა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ამას ჩვენ მოველოდით. ამიერ-კავკასიის კრ. გზ. სამმართველოს ინჟინრების კომისიამ „ჩემოს“ წარმომადგენლის თუმანოვის მონაწილეობით დაათვალიერა დანგრეული გზა, მიიღო ზომები და გამოარკვია, რომ მოძრაობა ვადაზე ადრე დაიწყება. ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა საშიშ ადგილების გასამაგრებლად. რათა დაცულ იქნას გზა ახალ დანგრევისაგან ნიაღვრების გამო, სამმართველომ დაადგინა მოახდინოს კაპიტალური შეკეთება. რემონტის აუცილებლობის შესახებ ილაპარაკა საბჭოთა რუსეთის გზათა სახ. კომისარმა ამხ. ძერჟინსკიმ. მაგრამ საკუთარი საშუალებით მთელი რემონტის მოხდენა არ ხერხდება. ისედაც დიდძალი საშუალება დაიხარჯა ამ გზას შესაკეთებლად.

საკითხი კაპიტალურ შეკეთების შესახებ შეტანილ იქნება საკავშირო საბჭოში. გზას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს დატვირთვის ოპერაციების ასეთ ხანგრძლივ შეწყვეტას.

„ჩემოს“ ამოცანები და მუშათა საკითხი.

ამ საკითხის შესახებ სიტყვას ამბობს „ჩემოს“ საბჭოს თავმჯდომარე ი. ვარაზაშვილი.

ჩვენი ექსპორტის ციფრი ძალიან მცირეა,—ამბობს ვარაზაშვილი,—ჩვენ გაგვქონდა მხოლოდ 9—10 მილიონი ფუთი.

წარსული წლების ექსპორტი, რომელიც შავი ქვის მრეწველობისათვის კატასტროფიულად უნდა ჩაითვალოს, გაცილებით მეტი იყო. ეხლა ჩვენ აღარ შეგვეძლია მცირეოდენის გატანაც კი. საზღვარ-გარეთიდან ჩვენ მოგვდის დიდძალი მოთხოვნილებანი. ექსპორტის ციფრი შეიძლება აყვანილ იქნას 100 მილ. ფუთამდე წელიწადში. შავი ქვის მრეწველობის მდგომარეობა უნუგეშოა და ეს მდგომარეობა შექმნილია შავი ქვის თვით ღირებულების გაძვირების გამო.

შავი ქვის მრეწველობის საკითხების გადაწყვეტის დროს დიდი სიფრთხილე გვმართებს. შავი ქვა—არის ჩვენი მეურნეობის ძირითადი დარგი. გაგვაქვს რა შავი ქვა, რომელიც საქართველოში არავისათვის საჭირო არ არის, ჩვენ ნაცვლად ამისა ვღებულობთ ვალიუტას, რომელიც აუცილებელია რესპუბლიკისათვის. შავი ქვის მრეწველნი უარს ამბობენ მოგებაზე. ჩვენი პირველი ამოცანა, რომლის განხორციელებას ჩვენ უნდა მივაღწიოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, არის საგარეო ბაზარის დაპყრობა. ეს კი ადვილი არ არის.

რკინის გზამ მხარი დაგვიჭირა, წარსან გაზაფხულზე ის დათმობაზე წავიდა. საზღვაო ტრანსპორტმა მოაწესრიგა ნავთსადგურის ძალიან დიდი გადასახადების საკითხი.

მაგრამ მუშების მოთხოვნილებანი მატულობს, სამუშაო ხელფასი აღწევს ისეთ ციფრს, რომელზედაც არ ოცნებობენ თვით რკინის გზის კვალიფიციური მუშები. მტვირთავების მუშაობა რთული არ არის, მარტივია.

მტვირთავი არ ქმნის ღირებულებას: მისი ერთად ერთი იარაღია ბარი—პლატფორმიდან ვაგონში შავი ქვის ჩაყრა. წარმატება და გაზიდვის გაძლიერება, დაუბრკოლებელი და სწრაფი გასაღება უცხოეთის ბაზარზე დამოკიდებულია შავი-ქვის თვით-ღირებულებაზე. მაგრამ გაზიდვა ხდება გამოუსადეგი და უმიზნო ვინაიდან ამით ზარალობს ყველა—სახელმწიფო, მუშები და თვით „ჩემო“-ს ორგანიზაცია: ომამდე გაზიდვა 25—30 მილიონის რაოდენობით უბედურებათ მიაჩნდათ. ასეთი ექსპორტი იწვევდა უმუშევრობას, ამცირებდა რკინის გზის შემოსავლიანობას.

აუცილებელია შავი-ქვის მრეწველობის აღდგენა, მდგომარეობა არ უნდა გავართულოთ, აუცილებელია ურთი-ერთშორის დათმობა ექსპორტის გასაძლიერებლად—აი ერთად ერთი გზა მუშების, რკინის გზის და საერთოდ მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს ხელთ არის ფოთის მტვირთავების კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი. ამ ხელშეკრულების პირობები კიდევ უფრო მძიმეა, კიდევ უფრო მიუღებელია.

ორატორი აცხადებს, რომ პროფესიონალ ორგანოებთან უშუალო მოლაპარაკებით შეუძლებელია საკითხის გადაჭრის მიღწევა და მდგომარეობიდან გამოსავალს ჰხედავს საარბიტრაჟო სასამართლოში.

კამათი.

გამოდიან სხვა მრავალი ორატორები. იცავენ სხვა და სხვა აზრს:

ზოგი მოითხოვს მიმართონ საარბიტრაჟო სასამართლოს მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით, ზოგი-დაადგენ შრომის კანონით დაწესებულ გზას.

სამთამადნო მრეწველობის მუშების პროფ. კავშირის წარმომადგენელი ამხ. კალანდარია აცხადებს, რომ კავშირის უახლოესი მიზანია ყველა წარმოებებში სამუშაო ხელფასის უნიფიკაცია.

ეხლანდელი კონიუნქტურა რთულია. ჯერ-ჯერობით მიღებულია დებულება, რომლის თანახმად მძლავრ წარმოებებში სამუშაო ხელფასი მეტი უნდა იყოს.

საარბიტრაჟო სასამართლოსადმი მიმართვა ნაადრევია. სასამართლოს საგანი იქნება მხოლოდ ჩვენი უთანხმოების პუნქტების განხილვა.

ყოველ შემთხვევაში, ძველი დებულებები საფუძვლად უნდა დაედოს ახალ პირობებს.

შავი ქვის კომიტეტის თავმჯდომარე ფიცხელაური მოითხოვს დაუყოვნებლივ შეუდგენ სატვირთავ ოპერაციებს. მთავრობა მიიღებს მონაწილეობას ჭიათურის მუშების საკითხის გადაჭრაში. მთავრობის წარმომადგენელი ამხ. მოდებაძე, აღნიშნავს რა, რომ მთავრობაც ასევე დაინტერესებულია შავი ქვის ექსპორტის მონოპოლიიდან მიიღოს მოგება, გადადის ჩვენი შავი ქვის მრეწველობის უცხოეთის ბაზარზე მდგომარეობის დახასიათებაზე. ჩვენ, განდევნილი ვართ,—ამბობს ის ლიუქსემბურგიდან ბელგიიდან ინდოეთის შავი ქვით. გერმანია ჩვენ ჩამოგვშორდება. ჩვენ გვაქვს ნიადაგი მხოლოდ ინგლისში. თუ ასე გაგრძელდა შავი-ქვის მრეწველობა დაიღუპება. აუცილებელია პროდუქტის გაიაფება. არ შეგვიძლია ბრალი დავსდოთ მუშებს—სყიდვითი უნარი ომამდე არსებულ დროისა და ეხლანდელი თანაბარი არ არის. აუცილებელია პროდუქტის გაიაფება ტეხნიკის გაუმჯობესების გზით. ინდოეთმა ჩვენ გაგვდევნა ლიუქსემბურგიდან სწორედ დატვირთვის გაუმჯობესებული წესის საშუალებით. გემი, რომელიც ფოთში ორ კვირის განმავლობაში იტვირთება როტერდამში იტვირთება ერთ დღეს.

ორატორი მოითხოვს დაუყონებლივ შეუდგენ ტვირთვას და კოლექტიურ ხელშეკრულების დადებას.

რეზოლიუცია.

საერთო კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: „ვცნობთ რა წინანდელ კოლექტიურ ხელშეკრულების პირობებს მიუღებლად, დაუყონებლივ უნდა შეუდგეთ მოლაპარაკებას პროფ. ორგანოებთან, რათა დადებულ იქნეს ხელშეკრულება საზოგადოებისათვის მისაღებ პირობებში. თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, ხელშეკრულების სადაო პირობები გადაეცეს გადასაწყვეტად მომრიგებელ ორგანოებს, რომელთა დადგენილება სავალდებულო უნდა იქნეს ორთავე მხარესთვის დატვირთვის მუშაობის დაწყებიდან. ამავე დროს დაუყონებლივ უნდა შეუდგეთ მუშაობას დატვირთვისათვის, კოლექტიურ ხელშეკრულების დადებამდე მუშაობის წინასწარ პირობების შემუშავების გზით“.

წერილი აჭარიდან

მთა. ხევი. ჩანჩქერი.. მთის მწვერვალები თოვლიანი, ერთი მეორეზედ უფრო მაღალი, უფრო საშინელი, სალკლდეებიანი ტ—ხეობები ღრმა, ღრმა, ვიწროთ ჩახეთქილები თითქოს ქვესკნელში... ბნელეთი, საიდან კი არა სჩანს, მხოლოდ ამოისმის გაბელებული წყალის ღრიალი.

მთის წვერვალიდან ძირს დაქანებულ მთის კალთებზედ, მთის ფერდებზედ დაბურულ ტყეებს თითქოს სძინავთ, ისე ღრმათ სდუმან.

ჩამოკიდლებულ ვეებერთელა კლდის ქვეშ და თვალჩაუწვდენელ, ბნელ, ღრმა ხრამს ზევით მიიკლაკნება გზაბილიკი ისე ვიწრო და დაფერდებული, რომ ბეწვის ხიდზე არ იქნება უფრო საშიში. თითქოს ბაწარი გაუბას ვინმეს ამ კლდის კედელზედ გვერდიდან გვერდზედ და იმ ბაწარზედ დადიოდენ მგზავრი—აკრობატები... ცხენებითაც კი უფრო გაბედულები.

ჩვენ აქ მოვედით დეკემბერში... ხულომდის კარგი შარა-გზით, მაგრამ როცა სამსახურმა გადაგვიტყორცნა ამ შარა-გზიდან მარჯვნით და მარცხნით,—ჩვენ გვეგონა თვით ქვესკნელში ჩავდიოდით სატანას ტახტთან და ავდიოდით ცაში ღმერთებთან საუბრათ: ღრუბლის მინდვრები ძირს რჩებოდენ, სადღაც დაბალში.

აი ადგილი, ტრუანტელის ტანში აღმძვრელი. „დედაბრის საფრინავი“—ასე დაურქმევიათ სოფლელებს, რადგან აქ ჩავარდნილა, თითქოს ჩაფრენილაო, ვიღაც დედაბერი და დაღუპულა. აი კიდევ—„ცხენის ხრამი“, აქ ჩავარდნილა სამსახურის გამო მოგზაურობის დროს ამხანაგი თავისი ცხენით, მაგრამ შემთხვევით შერჩენილა, როგორც ამბობენ სოფლელები, ბუჩქზედ და გადარჩენილა. ცხენი კი—გაქ ნებულა ტყვიასავით და დაკარგულა საშინელ სიღრმეში.

ასეთი არის ეს გზა—ბილიკი ალაგ-ალაგ სხალთის ხეობაში, მაგრამ არ უნდა დარჩეს ასეთათ ჩვ. ცხადია—რატომ...

სოფლებში ეპიზოოტია მძვინვარებს. ანადგურებს საქონელს ჭირი. მისი ჩაქრობაა ჩვენი მიზანი; ამისთვის გამოგვგზავნეს. მაგრამ არ ვიცით როგორ შეხვდავს ადგილობრივი სოფლის მშრომელი საქონლის აცრას და ვშიშობთ...

ჰოი დროებავ! ეხლა და უთ ნაშოვნი შრატით ძლივს მივცოცავთ აღმართ-დაღმართში და ნაცვლად თანაგრძნობისა საყვედურს ველით მეოცე საუკუნეში!.. ჩვენ ვიცით—ეჭვ-რას ახსოვს ჭირთან ბრძოლის ძველი მეთოდი — ტყვიით დახოცვა დაავადებულ პირუტყვებისა და ეს აორკეცებს ჩვენს ცუდ წარმოდგენას იმაზედ, თუ როგორ შეგვხვდებიან. მაგრამ—პირიქით სიხარულით ხვდებიან საქონლის აცრას, ხელს გვიწყობენ, გვეჯერებენ, მაგრამ შიშობენ, შრატმა არ ავნოს მაკე ძროხებს და ფურ-კამეჩებს... და ორი-სამი კვირის განმავლობაში რწმუნდებიან შიშის უსაფუძვლობაში და შრატის ამ მხრივაც სიკარგეში... და გვეხვეწებიან, ავეიცარითო, წარმოიდგინეთ, იქაც კი, სადაც გარემოება სულაც არ ითხოვს ამას.

— „ამხანაგო! თქვენ კარანტინი გამოგიცხადებიათ, გზები შეგიკრავთ საქონლის მოძრაობისათვის!“—გველაპარაკება ვიღაც სოფლელი დაფლეთილ ტანისამოსში, დაგლეჯილ ქალამნებში.

— „მართალი არის!“

— „და მე რაღა ვქნა?“

— „რატომ? რა მოხდა?“

— „წყალმა დამღუპა: ყანა წაგვართვა. [illegible] მყავს. მინდა [illegible] უკანასკნელი სამი ძროხა, რომ აღებულ ფულით სიმინდი ვიყიდო, სანამ იაფობაა ცოტა. თანაც არც საკვები მაქვს საქონლისთვის. რომ არ გავყიდო, სიმშილი მოგვკლავს ჩვენც და მაგენსაც... მაგრამ გზები შეგიკრავთ და ეხლა რაღაი?“

— „ვიცით შენს სოფელში ჭირი არ არის, მაგრამ შარა-გზაზედ გასავლამდის გვერდს როგორ აუხვევ დაჭირიანებულ სოფელს?“—

— „ო, ეს მე მკითხე! [illegible] კი არ ვარ დაჭირიანებულ სოფელში საქონელი გავატარო, ჭირი გავავრცელო, ხალხი დავღუპო. არის შემოსავლელი გზებიც!“.

მივყვებით გზების სასინჯათ. ვრწმუნდებით ნათქვამის სინამდვილეში, ვსინჯავთ საქონელს, ვუშვებთ.

გზა-და-გზა ვხედავთ სურათებს, თანამედროვე სურათებს: ბავშვების სიტიტვლეს ძლივს ფარავს ჩვარის ნაფლეთი. არც მათ უფროსებს აცვიათ უკეთესი. აგერ ბავშვი კი არა სჭამს, ღრღნის ცივ მჭადის ნატეხს.

— „ისედაც არაფერი გვქონდა, ამხანაგო, და წყალდიდობამ მთლიანათ მოგვეღ! პო. საყოფი სიმინდი ჩვენ არ გვაქვს და ან როგორ უნდა მოვიდეს საყოფი ამ მთებზედ და ღრეებში? ერთად ერთი საქონლით გვიდგას სული, ვყიდით და მჭადს ვყიდულობთ... ტანის სამოსზედ ფიქრსაც კი გავანებეთ თავი, მაგრამ ეხლა საქონელსაც რომ ჭირი სწყვეტს?! კარგი რომ ამოდიხართ და გვშველით. მაგრამ გზებიც რომ არ გვაქვს, რომ გატაროთ? უჩვევი კაცი სადმე რომ ჩავარდეს, ცოდვას სად გავექცეთ? ჯამაგირით არჩენთ ოჯახს, ისიც ეხლანდელი ჯამაგირით!..“ სწუხს ჩვენი თანამგზავრი.

აი კანკალობს სიცივისაგან ძველ ნაფლეთებში ცისფერი თვალებიანი პატარა გოგო და გვეკითხება, გადაიტანს ავათმყოფობას მისი ერთად-ერთი მეწველი ძროხა, თუ არა... მისი სწორეები მოწინააღმდეგე ზანაკიდან დედოფალებით ერთობიან ჭამიდან ჭამამდის, მაგრამ ეს... რა ქნას? მამა არა ჰყავს და ოჯახში კი ის უფროსი არის დედის შემდეგ, რომელსაც არ შეუძლიან მამაკაცებთან გამოვიდეს სალაპარაკოთ... იქვე ახლოს წიწილებივით შეყრილან უფრო წვრილ-წვრილი ობლები—მისი ძმები და ელოდებიან, რას იტყვის ექიმი...

სადღაც მთის ძირში გამოჩნდა ძველი ნანგრევი და ოდესღაც, როგორც ეტყობა, მასთან მიმავალი გზის კვალი.

ჩვენი თანამგზავრი ყველაფერს ამას, ბრალიანს და უბრალოს თამარის დროს მიაწერს. მას იტაცებს მოგონება, გაგონილი ამბები, ლეგენდები.

— „დიახ! ერთ დროს სდუღდა აქ ცხოვრება!“—აბოლოებს იგი.

— „დაიცათ“—ვუპასუხებ მე—„თქვენც მოესწრებით აქ ახალი ცხოვრების დუღილს... გაჰყვანენ გზებს, გახსნიან ქარხნებს, სკოლებს...

— „მჯერა, მჯერა! ხომ გაიყვანეს არხები საქართველოში? ხომ გაჰყავთ რკინის გზა გურიაში? მჯერა, თქვენისთანა სპეციალისტებთან ერთად სხვა სპეციალისტებსაც გამოგზავნიან... მოვითმენთ და როცა დაგვიძახებენ სამუშაოთ, გამოვალთ!..“

და ელოდება დაძახებას აჭარის მშრომელი, დაძახებას იმ შრომისათვის, რომელიც სამოთხეთ აქცევს ბუნებით შემკულს ამ კუთხეს.. აქ არის ყველაფერი ამისთვის: ხალხში—სურვილი, ძალა, ხალისი და მის მიწაწყლზედ ისე, როგორც შიგ, მასალა.

ხოლ—ტუ.

ხულო. 20 დეკემბერი, 1922 წ.

მუშათა ცხოვრება

უმუშევარ საბჭ. თანამშრომლების საზოგადო კრება.

აღნიშნულ უმუშევართა საინიციატივო ჯგუფის მიერ 25 დეკემბრისთვის 1922 წ. ახალ თეატრში მოწვეულ იქნა თბილისის უმუშევარ საბ. მუშაკთა პირველი საზოგადო კრება.

მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის წევრმა ამხ. იზრაელმა, რომელმაც უმუშევრობის მიზეზად დაასახელა; 1) ძველად—გარდამეტებული ნაწარმოების დაგროვება, 2) სოფლის პროლეტარიზაცია და 3) ომების დამთავრების შემდეგ დაწესებულების ლიკვიდაცია და შტატების შემცირება.

შემდეგ მოხსენებელი ასახელებს სხვადასხვა ზომებს უმუშევრობასთან ბრძოლისას, რომელნიც დასასრულ მიღებულ იქნა კრების მიერ რეზოლუციის სახით.

შრომის ბირჟის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბირჟის გამგე ამხ. ჯორბენაძემ, რომელმაც აღნიშნა რა ბირჟის მუშაობის მძიმე პირობები, განაცხადა, რომ 1 დან 25 დეკემბრამდე სამსახურში გაიგზავნა 183 თანამშრომელი. ამჟამად კი უმუშევართა რიცხვი საბ. თანამშრომლების სექციაში აღწევს 300-კაცს.

ამხ. ჯორბენაძის მოხსენებამ გამოიწვია შეკითხვები და [illegible] შორის. შემკითხველები კონკრეტიულად მიუთითებდენ ბირჟის [illegible] უკანონო მოქმედებასა და დეფექტებზე, რომელთა შორის რიგს გარეშე ადგილზე გაგზავნას დიდი ადგილი ეჭირა.

დასასრულს ხანგრძლივ კამათის შემდეგ ამხ. იზრაელმა დაადასტურა რა ზოგიერთი არა ნორმალური მოვლენანი, რომელთაც ქონდა ადგილი ბირჟის მოღვაწეობაში, წარმოადგინა შემდეგი რეზოლუცია, რომელიც ხმის დიდი უმრავლესობით იქნა მიღებული:

1. გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა ყველა დაწესებულების და წარმოების ადმინისტრაციას თანამშრომლების და მუშების რიგ გარეშე (გარდა უმაღლეს კვალიფიკაციის სპეციების) მიღებისათვის.
2. კატეგორიულად აკრძალულ იქნას დაწესებულებაში ნორმაზე მეტი მუშაობა (გარდა იშვიათი შემთხვევისა).
3. მოეწყოს კავშირთან უმუშევრების დასახმარებლად ფონდი: 5 პროც. გადარიცხვით საწევრო შემოსავლისაგან, მომუშავეთა მიერ სპეციალური თანხის გადარიცხვით, შიმშილ. შედეგ. სალიკვიდაციო კომიტეტის საშუალებიდან თანხის გადებით და სხვა.
4. აღიძრას შუამდგომლობა სახელმწიფო სამუშევრების მოწყობის შესახებ.
5. მოეწყოს უმუშევრებისთვის სასადილო და საჩაიე.
6. დაინიშნოს შრ. ბირჟაში უმუშევართა მორიგეობა ბირჟის საქმიანობის სამეთვალყუროთ და სხვა.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით საღ. 11 საათზე.

უმუშევარი.

თბილისის ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმი

ზემოაღნიშნული რაზმი განაწილებულია ორად: ერთი მოთავსებულია ჟუკოვსკის ქ. № 4 და მეორე კი ნიკოლოზის ქ. № 106.

ცეცხლის მქრობელთა საერთო რიცხვი უდრის 141 კაცს, მათ შორის 3 კანცელარიის თანამშრომელია.

ჯამაგირს რაზმელები ღებულობენ კოლლექტიური ხელშეკრულების ძალით, თვეში ერთხელ, დაუგვიანებლად—2 დან 5 მილიონამდე. ამას გარდა ქალაქის აღმასკომი აძლევს მათ „სპეც-ტანისამოსს“ და დროგამოშვებით სურსათ სანოვაგეს რაზმის საერთო ქვაბისთვის.

მორიგეობის დროს რაზმელები იმყოფებიან სამორიგეო საერთო ოთახში, რომელიც სუფთად გამოიყურება, მორთულია ლოგინებით და წააგავს ყაზარმას.

სადგომში დიდი სისუფთავე არის დაცული. ოთახები მშრალი და სინათლიანია, მხოლოდ ცოტა ცივა. სიცივის მიზეზს რაზმელები აწერენ ფილის იატაკს. ამ იატაკზე ფიცრის დასაგებად რაზმელებმა დიდი ხანია აღძრეს შუამდგომლობა, მაგრამ უშედეგოდ.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ქალაქის აღმასკომმა ყურადღება, თორემ გაციებულ დაავადმყოფებულ რაზმელების ექიმობა მას მეტად მეტი დაუჯდება, ვიდრე ფიცრების იატაკის დაგება.

ადმინისტრაციას და რაზმელებს უთანხმოება არ მოსდით, მაგრამ ერთი გაუგებრობა მათ შორის მაინც აქვს ადგილი.

რაზმის ინსპექტორი (გამგე) ხარჯავს თავისი საჭიროებისთვის სახაზინო შეშას.

ამ გარემოებამ მისცა მუშებს საბაბი მოეთხოვათ შეშა თავ თავის საჭიროებისათვისაც.

საკითხმა მიიღო კონფლიქტის ხასიათი ინსპექტორს და რაზმელებს შორის და საქმე გადაცემულია კავშირში გამოსარკვევად.

კულტურული მუშაობა რაზმელებს შორის წარმოებს რიგიანად, წერა-კითხვა იცის ყოველმა რაზმელმა. არსებობს სკოლა და სამკითხველო, სადაც რაზმელებს მოსდით გაზეთები სხვა და სხვა ენაზე.

მერ.

მუშა თავის ოჯახში

ამ. კავკ. რკინიგზის მუშათა სახლი № 56 წარმოადგენს ფრიად ლამაზ, ფასადიან სამსართულიან შენობას, რომელიც კოხტად წამოჭიმულია ბებუთოვის ქუჩაზე. ფართე ფანჯრები უხვად იძლევიან ოთახებში სინათლეს. ოთახები არის მშრალი, განიერი და მაღალ-კედლიანი. შესვლისთანავე, უპირველესად, თვალში მოგხვდებათ იშვიათი სისუფთავე, რომელიც სუფევს შენობის ყველა ოთახებში.

სულ მუშებს თავ-თავის ოჯახებითურთ უკავიათ 40 ოთახი. ოჯახთა შემადგენლობა აღწევს 92 სულს. ოთახების მორთულობა და საერთოდ ცოცხალი და მხიარული შეხედულება მოსახლეობისა ამტკიცებს, რომ ამ მაღალ კვალიფიკაციის მუშებს ცხოვრება არ ეპყრობა ისე სასტიკად როგორც სხვებს.

გათბობა მუშას საკუთარი აქვს აგრეთვე და საკმაოდ, განათებაც.

ოთახების ავეჯეულობა და თვით ოჯახობის ჩაცმულობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, ხაზგასმით ვიტყვით, ამ დარგის მუშათა ოჯახები შეიძლება ჩაითვალონ შედარებით უზრუნველყოფილად.

ა. ნ.

პასუხი მუშას

გაზ. „კომუნისტის“ № 279-ში მუშას ფსევდონიმით მოთავსებულია წერილი სახალხო კავშირის ცენტრალურ გამგეობის უმოქმედობის შესახებ.

ავტორს უნდა მოკლეთ ვუპასუხოთ:

29 ნოემბერს შესდგა მორიგი პლენუმის სხდომა, რომელსაც დაესწრენ ყველა პროვინციელი და ადგილობრივი ამხანაგები და ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი წევრი ამხ. ბახუტოვი.

იქნა გაკეთებული მოხსენება პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და გამოირკვა, რომ ც. გ. პრეზიდიუმს უმუშავნია დამაკმაყოფილებლად, და შესაფერი რეზოლუცია იქნა გამოტანილი.

ხსენებული წერილის ავტორს არ შეუძლია სთქვას, რომ ც. გ. მუშაობდა სუსტად ქარხანა „თექსს“ ყავს თავისი წარმომადგენელი ც გამგეობაში, რომელიც გაუგებარ მიზეზების გამო, პლენუმს არ დაესწრო მიუხედავათ იმისა, რომ ის თბილისში იმყოფებოდა და თავის დროზე დაეცნობა. უკეთესი იქნებოდა, ამხ მუშა, თქვენი წარმომადგენელი გამოგეგზავნათ პლენუმის სხდომაზე, მაშინ გაიგებდით მისივე მოხსენებიდან ჩვენს მუშაობას, რის შემდეგ ჰაერიდან აღებულ ცნობას არ მოათავსებდით გაზეთში. რაც შეეხება მუშაობის გაცხოველებას, ეს ამხ მუშა, სიმართლეს არ შეეფერება ამით თქვენ თქვენივე თავს ატყუებთ, რადგან ფაქტიურად კავშირი დაიჭირეთ მელითონეთა კავშირთან მხოლოდ 2 დეკემბრიდან და არ შემიძლია დავიჯერო, რომ ორი დღის განმავლობაში უკვე თქვენთან დაარსდა წერა-კითხვის უცოდინართა პირველი საფეხურის სკოლა, წიგნთსაცავი, საექიმო დახმარება, ბინა და სხვა.

ყველაფერი ეს დღემდე არსებობდა და თუ შემდეგში იქნება გაფართოებული ასეთ მოვლენას ჩვენ მივესალმებით.

მუშა სწერს, რომ ც. გ. აქვს მუშათა სახლი, სადაც 50 პროც. ჩასახლებულია არა კავშირის წევრებისაო. ვიდრე ამას დასწერდით, უმჯობესი იქნებოდა გადაგეხედათ თუნდ სიისათვის და აშკარად დაინახავდით, რომ ფოსტელ მუშათა სახლში არც ერთი პროცენტი კერძო პირი არ სცხოვრობს და პროცენტულად გაცილებით მეტი სცხოვრობენ „თემქის“ მუშები, ვიდრე სხვა წარმოების ჩვენივე კავშირის; და თუ კერძო პირებათ მიგაჩნიათ სამხედრო სასანიტარო ნაწილი და განსაკუთრებით დანიშნულების რაზმი, რომლებსაც 20 ოთახამდე უჭირავს, ეს შეცდომაა გეტყვით თ ვერ არჩევთ განსხვავებას კერძო და სახელმწიფო დაწესებულების შორის.

რომანი.

პროლეტარული საღამო ნაძალადევში

17 დეკემბერს ნაძალადევის თეატრში 1 რაიონული პარტორგანიზაციის ქალთა განყოფილებამ გამართა ნაძალადევის უმუშევარ ქალთა სასარგებლოთ საღამო. საღამოს ხელმძღვანელობდა ქალების პატარა ჯგუფი ამხ. ოლღა ივანოვის თაოსნობით და ა. ჩხენკელის მხურვალე მონაწილეობით. საღამო ყველაზე უფრო მით იყო საინტერესო რომ ის იყო წმინდა პროლეტარული და მასში მონაწილეობას ღებულობდენ ნაძალადევის მუშები საღამოზე ვერ ნახავდით ვერც ერთ მოხეტიალე ჯგუფებიდან და ვერც იმ „ბრწყინვალე“ წრიდან, რომლებიც უკვე დიდი ხანია ჩაესვენენ ღრმა საფლავებში. ნაძალადევის თეატრის დარბაზი, რომელიც გაჭედილი იყო ძვირფასი სტუმრებით, თვალწარმტაცი იყო. მუშა ქალები დარაზმულიყვნენ ამხ. მამაკაცებთან ერთად, რომლებიც გვერდში უდგნენ დაჩაგრულ, უმუშევრად დარჩენილ დებს და ცდილობდენ გულუხვად დახმარებოდენ მათ. დღემდე აბუჩად აგდებული მუშა ქალები, ელვა ამაყად და გაბედულად გამოიყურებოდნენ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რომ მათაც აქვთ ნიჭი და უნარი ამ კეთილ საქმეებში მონაწილეობის მიღებისა. საღამომ მშვენიერად ჩაიარა. მისი შემოსავალი 33,500,000 უდრიდა მაგრამ რადგან იმ დღეებში ბაზარზე დიდი სიძვირე იყო და სწორედ ამ დროს მოხდა საღამოს მოწყობა, წმინდა შემოსავალი მხოლოდ 12 მილიონი 270 ათასი დარჩა, აგრეთვე სხვადასხვა ნივთები 1 მილიონ, 79,000 მან. ღირებულებისა ამ თანხით ქალთა განყოფილება ხსნის პირველად „ჩაშკა ჩაის“, ნახალოვკის მშრომელთათვის. განზრახულია ამ თანხიდანვე სამკერვალო და ჩულქის საქსოვ სახელოსნოს გახსნა, სადაც მიიღებიან ნაძალადევის უმუშევრად მყოფთ მუშა-ქალებისა.

დოდო.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

— **სოფ. რუხის შეერთება გორის მაზრასთან.** სოფ. რუხის მცხოვრებლებმა (ტფილისის მაზრა) აღძრეს შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა აღნიშნული სოფელი შეერთებულ იქნეს გორის მაზრასთან, როგორც უფრო მახლობელ ცენტრთან. შინაგან საქმეთა კომისარიატმა შუამდგომლობა სცნო სამართლიანათ და დაადგინა სოფ. რუხი შეერთებულ იქნეს გორის მაზრასთან, რის შესახებ კომისარიატმა აცნობა სათანადო ორგანოს ფორმალურ მხარეების შესასრულებლათ.

სასურსათო კომისარიატში

— **ქუჩის ბავშვთა დასახმარებლად.** სახალხო სასურსათო კომისარიატის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, ერთი საღამო გამართონ ქუჩის ბავშვთა სასარგებლოდ. კომისარიატის ცენტრის ადგილკომმა უკვე შეადგინა საღამოს პროგრამა და მისაბაძ საქმეში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია მცოდნე პირები. საღამო გაიმართება შაბათს, დეკემბრის 30 ს, პროფკავშირთა სახლის დარბაზში. საღამო დაიწყება საღამოს 7 ს. საათზე.

— **სახ. სასურს. კომისარიატის ფუნქციების გადაცემა მომხმარებელ კოოპერაციაზე.** როგორც ვიცით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით სახალხო სასურსათო კომისარიატისთვის დაკისრებული ფუნქციები ადგილებში, სახელმწიფო სასურსათო პროდუქტების დამზადება, განაწილება და სასურსათო გადასახადის აკრეფა ადგილობრივ მომხმარებელ კოოპერაციას უნდა გადაეცეს. ამ რეორგანიზაციის თანდათანობითი განხორციელება დაკისრებული აქვს სახალხო სასურსათო კომისარიატს, რომელმაც უკვე დაუგზავნა სამაზრო სასურსათო კომისრებს ცირკულიარი და წინადადება მისცა წარმოუდგინონ კომისარიატს შემდეგი თავისი მოსაზრებანი: შესაძლოა თუ არა მათს მაზრაში სახ. სასურკომის ადგილობრივ ფუნქციათა გადაცემა, მასთან როგორის ფუნქციებისა და რომელ საკოოპერაციო ორგანიზაციაზე, როდის და რამდენის ხნის განმავლობაში შესაძლო ამ ფუნქციების გადაცემა. ამავ ცირკულიარში ნათქვამია, რომ წრევანდელ სასურსათო გადასახადისა და შარშანდელ ნარჩენის აკრება უნდა დამთავრდეს არსებულ აპარატის მიერ.

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

— საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ 27 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და მოიწონა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გზათა განყოფილების ხარჯთაღრიცხვა მდინ. მტკვარის ნაპირების გასამაგრებლად და სოფ. მეტეხთან ხიდის ასაშენებლად; ამასთანავე საბჭომ დაადგინა სასწრაფოთ გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან 18.000 მან. ოქრ. აღნიშნულ ხიდის ასაშენებლად. მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და დამთავრდეს არა უგვიანეს 1923 წლის აპრილისა. აღნიშნულ ხიდის აშენებას აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა მთელი გორის მაზრისათვის, ვინაიდან იგი აკავშირებს ერთმანეთთან სოფელ წალკას, მანგლისს, ტირიფონის ველს და სხვ. და აახლოვებს მათ ქ. გორთან და რკინის გზასთან. გადაწყდა ხიდს მიეცეს ამხ. ლადო კეცხოველის სახელწოდება.

ქალაქის აღმასკომში.

— **გადასახადი.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა თანახმად გადასახადთა დებულების მე 18 მუხლის 17 და 26 ანაკვეთისა შემოღებულ იქნეს ქალაქ ტფილისში, აღმასკომის სასარგებლოთ, სახალხო ნატარიუსის საშუალებით შემოღებულ იქნეს შემდეგი გადასახადი: 1) სხვა და სხვა აქტებზე, შემოწმებებზე, პროტესტიაზე და გადასახადების მოთხოვნაზე, 25 პროც. რაოდენობით. 2) უძრავ ქონების [illegible], მამულის გადაცემის საბუთის შედგენის დროს შემდეგი რაოდენობით: თუ მამული ღირს 10 მილიონამდე—1 პროც. 20 მილიონამდე 2 პროც 30 მილიონამდე 3 პროც 40 მილიონამდე და ზევით —5 პროც. ამ საკითხის შესახებ პრეზიდიუმს დაევალა შესაფერი სავალდებულო დადგენილების გამოცემა ახლო ხანში.

— **ახალი წევრი.** აღმასკომმა ამავე სხდომაზე დაადგინა მოწვეულ იქნას ამხ. სიმონ ჟღენტი კოოპერაციის საშვალებით აღმასკომის წევრად და ამტკიცებს პრეზიდიუმის წევრათ.

— **ამხ. კამოს ძეგლი.** აღმასკომმა დაადგინა ამხ. კამოს საფლავზე დაიდგას ძეგლი, რის შესახებ წინადადება მიეცეს მოქ. ბახჩიევს რომელმაც თვითონვე განაცხადა სურვილი ძეგლის აგების შესახებ, ძეგლი აგოს აღმასკომის მიერ შედგენილ გეგმის თანახმად. თუ ბახჩიევი რაიმე მიზეზის გამო ძეგლის აგებას ვერ შესძლებს, საკითხი ძეგლის აგების შესახებ დაისვას სახალხო კომისართა საბჭოში.

ხელოვნება

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, პარასკევს 29 დეკემბერს პირველათ განახლების შემდეგ „M me ბატერფლეი“ მონაწ. ბოკოვა, სარაჯიშვილი და სხ.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—„მადამ ბატერფლეი“ ბოკოვას, ერმოლინსკის, ნეიმანის, დობრჟანსკის, სარაჯიშვილის, კრივანოვსკის და სხ. მონაწ. რუსთ. თეატ.—თურქული დრამა. მეორე სახელმწიფო კონსერვატორია—კამერული საღამო, გლაზუნოვის 40 წლის სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობის შესრულების გამო. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ ზეილგერი და გრჟიმალის სახელობის კვარტეტი.

პოლიტგანათლების განყოფილების მუშაობა

თბილისის მაზრა

ტფილისის სამაზრო პოლიტ-განათლების მმართველობას ჰყავს საკმაო მომზადებული თანამშრომლები. თვეში 1—2 ჯერ პარტკომი ისმენს მოხსენებას, პოლიტ-განათლების მუშაობაზე. მაზრის ყველა კუთხეების დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ მცხოვრებლები ყურადღებით ეპყრობიან პოლიტ-განათლების საქმეს, განსაკუთრებით ახალთაობა. სულ არის: 13 ქოხ-სამკითხველო, 6 წიგნ-საცავი, 3 კლუბი, 6 თეატრი (სამი მათგანი კლუბებთან) ზოგიერთ ადგილებზე ახლა აარსებენ თეატრებს, პირველი პოლიტ-წრე სამაზრო პარტკომთან, ერთი პარტიული სკოლა არსდება წ. კ. უცოდ. სალიკვიდაციო 1 და 2 საფეხურის სკოლები. 1) ავჭალაში, 2) მარტყოფში, 3) მანგლისში და ალბულაღში. შენდება სახალხო სახლები: 1) მარტყოფში, 2) ავჭალაში და 3) დიღომში.

ახალგაზრდობის კომკავშირთან და კულტ-განყოფილებებთან კავშირი უკვე არსდება.

თიანეთის მაზრა

თიანეთის პოლიტ განათლების მუშაობის შედეგი პირველ ენკენისთვემდის თითქმის შეუმჩნეველი იყო მაგრამ სასწრაფო ენერგიულ ზომების მიღების შემდეგ, ეს მუშაობა გამოცოცხლდა და ქრისტეშობისთვის პირველში თიანეთის სამაზრო პოლიტ-განათლების განკარგულებაში არის: 13 სამკითხველო, 2 კლუბი და 12 წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები.

პოლიტ განათლების მთავარ მმართველობიდან მიიღო ლიტერატურა სამკითხველოებისათვის, სასწავლო ნივთები წ. კ. უცოდ. სალიკ. სკოლებისათვის და მთელი დავალიანება პირველ ქრისტეშობისთვემდის. პოლიტ განათლებას არ ჰყავს გამოცდილი მომუშავენი გარდა ერთი ამხანაგისა, რაც ძლიერ აფერხებს მუშაობის წინსვლას მაზრის სხვა და სხვა ნაწილებში

სასოფლო მეურნეობა

უძველესი ცნობები პუროვან მცენარეების შესახებ.

მეცნიერები ჯერ კიდევ ვერ იცნობენ, იმ გარეულ მცენარეებს, რომელთაგანაც წარმოიშვა ჩვენი პური, ქერი და სხვა ხორბლოვანი მცენარეები; შეიძლება მათი მრავალ საუკუნეთა შერჩევის და თესვის გამო, მათ დაკარგეს თავისი პირველი სახე. მაგრამ შეიძლება ისიც, რომ პუროვან მცენარეების წინაპარნი სრულიადაც მოისპენ მიწის ზურგიდან, და მათი შთამომავლობა კი შეიცვალა ადამიანის ზეგავლენით.

ყოველ შემთხვევაში პუროვან მცენარეთა წინაპრებს არ ექნებოდათ, ისეთი მსხვილი და ფქვილოვანი ნაყოფით სავსე მარცვალი, როგორიც აქვთ ეხლა.

ეხლაც ზოგიერთი არა კულტურული ხალხი, ცნობილი მოგზაური ბარტის სიტყვით, როგორიც არიან მაგალითად შავკანიანი ხალხი—ნეგრები, აფრიკაში, კრეფენ ხოლმე ერთ გარეულ პუროვან მცენარეს და მისი ფქვილიდან აცხობენ პურს.

საინტერესოა გავიგოთ თუ რამდენი ხანია, რაც კაცობრიობა იცნობს პუროვან მცენარეებს?

ამაზე პასუხს იძლევა ისტორია და არქეოლოგია.

ეს უკანასკნელი არის მეცნიერება, რომლის საგანია შესწავლა ძველი ხალხის ცხოვრებისა, მათი სამუშაო და სანადირო იარაღების, ჭურჭლეულობის, შენობების, ძეგლების და სხვათა მიხედვით.

ყველაზე უძველეს ცნობებს ზემო დასმულ კითხვაზე ვპოულობთ ჩინელების ხელთნაწერებში, რომელნიც არიან დაწერილი 4000 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე.

ასეთი ძველი მწერლობა არ მოეპოება არც ერთ სხვა ერის ხალხს.

ერთ ასეთ ხელთნაწერში, არის ნახსენები ჩინეთის მეფე სახელად შენანუნგ, რომელმაც გასცა ბრძანება, რომ მის სამფლობელოში ეთესათ ხუთი ჯიში პუროვან მცენარეებისა, რომელთა შორის არიან პური, ბრინჯი და ფეტვი.

ქრისტეს შობის 2800 წლის წინ, როგორც ჩინური წყაროებიდან სჩანს იქ ყოფილა უკვე კარგად დაყენებული მეურნეობა, რომელიც ყვავოდა სარწყავი არხების წყალობით.

მეორე ძველ ხალხს—ეგვიპტელებს 2500 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე ცოდნიათ პუროვან მცენარეების თესვა-მოყვანა. ეს სჩანს მათი ძეგლებიდან. ეგვიპტელები ძეგლებს უმთავრესად აშენებდნენ მეფეების—ფარაონების საფლავებზე. ამ ძეგლების სიდიადე გასაოცარია, ისინი ეხლაც მედიდურად გამოიყურებიან ნილოსის ნაპირებზე აფრიკაში, ძველ ეგვიპტელების მიწა-წყალზე

ძეგლების ზოგიერთ ქვებზე გამოხატულია მაშინდელი ეგვიპტელების ცხოვრებიდან სურათები, სხვათა შორის ბლომად არის სამეურნეო ხასიათისაც და როგორც იქიდან სჩანს, ეგვიპტელები ხნავდნენ ისეთივე სახნისით, როგორიც არის იმერეთში და მკიდენ პურს ნამგლით. ლეწავდენ კალოზე, რომელზედაც დაყავდათ საქონელი.

ქვებზე იმდენათ მკაფიოთ არის გამოხატული პუროვანი მცენარეები, რომ ნამდვილად შეიძლება ითქვას, რა ჯიშს ეკუთვნიან ისინი ეს არის პური და ქერი. მაგრამ მეცნიერები ასეთ მსგავსებას არ დაეყრდნობოდენ, რომ მათ ეგვიპტეს ძველ საფლავებში არ ეპოვიათ მშვენივრათ შენახული პურისა და ქერის მარცვლები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეგვიპტელები მარხავდენ თავის მიცვალებულებს შემდეგ ნაირად: გამოაცლიდენ მკვდარს შიგნეულს და ტვინს, რის შემდეგ წაუსვამდენ ერთგვარ სურნელოვან ზეთს. გამოახვევდენ ქსოვილებში, ჩადებდენ კუბოში და ისე ინახავდენ მიწაში. ასე გაკეთებული მიცვალებულები ბევრი მოიპოვება ეგვიპტეში და დიდ ქალაქების მუზეუმებში გაუხრწნელად, მიუხედავად იმისა, რომ 3-4000 წლის წინ არიან დასაფლავებული.

ძველ საბერძნეთის შესანიშნავ ბრმა მგოსნის გომეროსის გალექსილ თხზულებებში ხშირად არის ნახსენები პურისა და ქერის თესვა-მოყვანის შესახებ. გომეროსი ცხოვრობდა რამოდენიმე საუკუნის წინ ქრისტემდე.

რომაელები 600 წლის ქრისტეს წინ უკვე თესავდენ პურს და ქერს, რის დამამტკიცებელი საბუთია იმ დროის ფულებზე ამოჭრილი პურისა და ქერის გამოხატულება. აგრეთვე ძველ რომაელების მიწა-წყალზე იპოვნეს მიწაში, დანგრეულ შენობებთან და ჭურჭელთან ერთად პურისა და ქერის მარცვლებიც. ეს გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ იქაც უძველეს დროიდან ეწეოდენ პუროვან მცენარეების მოყვანას.

სულ სხვა რამეს ვხედავთ ჭვავისა და შვრიის შესახებ. მათზე ვერაფერს ვპოულობთ ძველთა ძველ ჩინურ ხელთნაწერებში და ეგვიპტეს ძეგლებში. არც ბერძნები და რომაელები მისდევდენ მათ თესვას უფრო ახლო ხანებშიდაც კი.

სამაგიეროთ ეხლანდელ ფრანგების და გერმანელების მიწა-წყალზე შვრიას იცნობდენ კარგად და კიდეც თესავდენ. ერთ გერმანულ ქალაქში ვურტემბერგში ძველ საფლავში, რომელიც ეკუთვნის ქრისტეს დაბადების ხანას იპოვეს შვრიის თესლი. სიდან გადმოიღეს ძველმა გერმანელებმა შვრიის თესლი გამოურკვეველია, მაგრამ ფიქრობენ რომ რუსეთიდან არის გადმოტანილი.

მაშასადამე უძველესი დროის ცნობები ხორბლეულის შესახებ, მოიპოვება ჩინელების 4000 წლის ქრისტეს წინ დაწერილ წიგნებში, მაგრამ რა თქმა უნდა ჩინეთში უფრო ადრე თესავდენ ხორბლეულობას ვიდრე წიგნების წერას დაიწყებდენ, ასევე ითქმის ეგვიპტეს შესახებაც.

კაცობრიობის განვითარება, თანდათანობით ხდებოდა. პირველყოფილი ადამიანი, [illegible] ცხოვრობდა მაშინ—როცა მოშივდებოდა წავიდოდა სანადიროთ და მარტო მოკლული ცხოველის ხორცით იკვებებოდა, შემდეგ როცა ცხოველები შედარებით მოისპო და ხალხი კი გამრავლდა მათ დაიჩვიეს ზოგიერთი ცხოველები და მისდევდენ მესაქონლეობას. შემდეგ ესეც ვერ გამოდგა ხელსაყრელი და პირველმა ადამიანმა, შემთხვევით ნახული პუროვანი მცენარეების [illegible].

შემდეგ თანდათანობით, თესლის შერჩევით ჩვენ გვიჩვენა ახლანდელი ხორბლეულის სახით მშვენიერი [illegible] საკვები.

თუმცა ძველად ჩინეთში თესავდენ პურს, ბრინჯს და ფეტვს, მაგრამ, პურის სამშობლოდ და აგრეთვე ქერის, ითვლება დასავლეთი აზია ე. ი. ახლანდელი სპარსეთი და სათათრეთი.

ჩინეთში და მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებიდან კი არიან ფეტვი, შვრია, ღომი, და ბრინჯი, საიდანაც ისინი მოედვნენ მთელ ქვეყანას რაც შეეხება სიმინდს, ის არის ამერიკული მცენარე და პირველად ის გაიცნეს ამერიკის აღმოჩენისას 1492 წელს.

მაგრამ სიმინდის და კერძოთ ხორბლოვან მცენარეების გავრცელებაზე გავეცნობით ის შესახებ საქართველოში შემდეგ.

ი. ზ.

ჩვენი ფოსტა

ადგილობრივ პარტორგანიზაციებს. გთხოვთ გვაცნობოთ პასუხისმგებელ კორესპონდენტების ვინაობა (სახელი, გვარი, რა მუშაობას ეწევიან ორგანიზაციაში) სადაც არ არიან ასეთი კორესპონდენტები, საჭიროა მათი ამორჩევა და იგივე ცნობის გამოგზავნა მათ შესახებ.

ამხ. ხოლტუ—ს. [illegible]

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

კვირას, 31 დეკემბერს 1922 წ. დილის 10 საათზე ს. კ. პ. ავჭალის სარაიონო კომიტეტის შენობაში დანიშნულია საერთო კრება ავჭალის რაიონის, კომპარტიის წევრების და კანდიდატებისა.

დღის წესრიგი.

1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.
2) მოხსენება ამხ. ლ. სუხიშვილისა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ.
3) ავჭალის რაიკომის ანგარიში, 1922 წ. სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების განმავლობაში.
4) ს. კ. პ. ავჭალის რაიონულ კომიტეტის არჩევნები.
5) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. ავჭალის რაიონის წევრების და კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

პასუხისმგებელი მდივანი ავჭალის რაიკომისა: ნ. სარქისოვი.

— შაბათს, 30 დეკემბერს, საღამოს საათზე ს. კ. პარტიის მეორე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 96) შესდგება მეორე რაიონის დიასახლისების საერთო კრება.

დღის წესრიგი

1. ქალი წარსულში, აწმყოში და მომავალში.
2. მიმდინარე საქმეები.

— კვირას 31 დეკემბერს, დილის საათზე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე. (რუსთაველის პრ. № 32 მესამე სართული) მოხდება კრება.

მოწვეულ არიან: გაზეთების ყველა რედაქტორები, ადგილობრივი კორესპონდენტები (პარტიული და მუშათა განყოფ და საქ. კომ. პარტიის ტფილისის და რაიონულ კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების გამგეები.

ტ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 30 დეკემბერს

გუშინდელნი

დასაწყისი სრულ 8 საათზე. (804 3 2)

სახელმ. [illegible] თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 29 დეკემბერს

M-me ბატერფლეი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 808—1—1)

აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ შაბათს 30 დეკემბერს დღის 12 საათზე აღმასკომის საკრებულო დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სასტუმრო „ავრორაზე“. პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში (ოთახი № 50).

(კრ. 809—2—1)

ტფილისის კვანძის სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოების

„უჩცპო“

შენობაში ელისაბედის ქუჩა № 181 დუქანში იყიდება შინაური კურდღლები: დიდები, ახალ გაზრდილი, მამლები და დედლები. ანგორის, ფლანდრიის, ვერცხლის-ფერი, ცის ფერი და სხვა ჯიშები:

1. გაზრდილები 100 000 მანეთიდან . . 150 000 მანეთამდე.
2. ახალგაზრდები 50 000 მანეთიდან . . 100.000 მანეთამდე

მსურველებს შეუძლიათ იყიდონ ინვენტარიც (გალიები).

უპირატესობა ყიდვაში ეკუთვნის [illegible] ბილეთებს და სახლებს და ამიერ რკინის გზელებს

გამგეობა იმყოფება—ელისაბედის ქუჩა № 200-ში.

(712—3—2)

ამიერ-კავკასიის რკ. გზების
თბილისის ქალაქის
სადგური

იღებს გადასატანად ტვირთებს რკინის გზის სადგურიდან შემდეგ ტ ა ხ ს ზ ე:

ერევნის მოედნამდე . . . 15 000 მ. ფუთზე.
[illegible] . . . 15 000 „ „
ვორონცოვის მოედნამდე . . . 10.000 „ „
სხვა პუნქტებამდე შეთანხმებით.

ყოველდღე საბარგო სადგურზე იმყოფება ქალაქის სადგურის წარმომადგენელი ტვირთების გადატანის მონდობილობათა მისაღებად

კრ. 807—5—2

ამიერ-კავკასიის რკინის გზების
ტფილისის ქალაქის
სადგური

იღებს ცოტა და დიდი ხნით ტვირთებს და საოჯახო ნივთებს შესანახად საწყობებში სადგურზე და ქალაქში ერევნის მოედანზე ეროფილ თამამშევის ქარვასლაში, [illegible] პირობებზე. (კრ. 806—5—2)

კალენდრები
1923 წლისათვის

გამოც. მოსკოვის პრესის და ცენტრალკავშირისა, მოიპოვება დიდი რაოდენობით

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას.

ფასი 60.000 მ. პლეხანოვის პრ. № 138, მესამე სართული.

კრ 798 (3 3)

სახლი

განმარტოებულად მდგარი და თავისუფალ ბინით, ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქუჩა № 3, ბინა № 2, რუსთაველის პროსპ. გვერდით 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე.

691—13—8

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით. რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. [illegible]

ავადმყოფების მიღება სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყოლონოვის ქ. № 20. (733—25—1)

დოქტორი გ. მეგრაბიანცი

ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა

შინაგანი ფილტვების—შუკის და გულის ავადმყ. სპეც. წამლობს სალვარსანით. შემ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 ს დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. (63425—18)

ქ. ტფილისის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს 1 მარტს 1921 წ. გარდაცვალებულ [illegible] დარჩენილ ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების [illegible].

(730—1—1) სახალხო მოსამართლე შ. კობიაშვილი.

ქ. ტფილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში მემკვიდრეებს უფლების წარსადგენად გარდაცვალებულ ანასტასია ვასილის ასულ [illegible] ქონებაზე 28 დეკემბერს 1922 წელი.

(734—1—1) სახალხო მოსამართლე შ. ჩხეიძე

დაიკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მსმენელის [illegible] მოწმობა № 214. მოცემული ამავე უნივერსიტეტისაგან, ჩაითვალოს გაუქმებულად. (732—1—1)